კვირა. 1918 წ. თებერვლის 25 (10 № 43

ყოველდღიური გაზეთი

კვირა. 1918 წ. თებერვლის 25 (10 № 43

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

ხელთნაწერები, გამოგზავნილი სტატიები უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უხელმოწერო გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ დარჩება. დაუბეჭდავი ხელნაწერები არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადი მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 18 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 30 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე „მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=10 მანეთი, 20×2=13 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა დირის ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## დ ღ ე ს:

### ც ნ ო ბ ე ბ ი:

ამიერ-კავკასიის სამინისტროს შედგენა სეიმის პრეზიდიუმს მიენდო.—საზავო დელეგაცია თებერვლის 22-ს ტრაპიზონში მოვიდა. სოხუმი მეზღვაურთაგან გაანთავისუფლეს.

გერმანეთმა რუმინეთთან ზავი შეჰკრა.

### წ ე რ ი ლ ე ბ ი:

რ. ინგილო. ზავის გარშემო.

ტ. ტაბიძე. გარემოცული საქართველო.

შ. ამირეჯიბი. ბათუმი (ფელეტონი).

ინჟ. ბ. ჭიჭინაძე. კერძო ინიციატივა, თუ განსახოგადოებრივობა.

ინ—ბანი. ყანწები (პატარა ფელეტონი).

გ. ჟორდანია. იშვიათ მუშაკის ხსოვნას.

ი. ძ—ნი. გ. დალაქიშვილის ხსოვნას.

გორგი. ... შესაფერ მოქმედებისკენ.

კორესპონდენცია. ახალციხიდან.

ამიერ-კავკასიის სეიმის ანგარიში.

---

კნეინა ელისაბედ ივანეს ასული, შვილი ნინო, შვილის-შვილი თამარი, ძმები: გიორგი, ნიკოლოზ, არჩილ და ილია ვასილის ძენი თავიანთ მახარობლები ღრმად მწუხარებით აუწყებენ, რომ მძიმე და ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ თებერვლის 22-ს გარდაიცვალა

თ-დი ვასილ გიორგის ძე

# მ ა ჩ ა ბ ე ლ ი.

პანაშვიდი დღეს, შაბათს, ნაშუადღევის 1 სა და 5 საათზე, განსვენებულის ბინაზე, ყორღანოვის ქუჩა, № 8. გამოსვენებამ ბინიდან და დაკრძალვა ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში, კვირას დილის 10 ს. (2—1033—2)

---

პარასკევა კონსტანტინის ასული, ნინო ალექსანდრეს ასული, გრიგოლ და იოსებ ზაქარიას ძენი ქურდიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ საყვარელი და ერთგული ... ძმა ... განუყრელი ამხანაგის

# გოგლა დალაქიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას.

გამოსვენება დღეს 10 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა დიდუბეში. 1—1030—1

---

თბილისის სამეურნეო ბანკის გამგეობა და მოსამსახურენი გულითადის მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ თებერვლის 22-ს გარდაიცვალა ბანკის საბჭოს თავმჯდომარე

ვასილ გიორგის ძე

# მ ა ჩ ა ბ ე ლ ი

გამოსვენება დღეს დილით, 10 საათზედ, საკუთარის ბინიდან (ყორღანოვის ქ. სახლი № 28, ბინა 11) წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში ვერაზე, სადაც ცხედარი იქნება დაკრძალული. 1—1

---

კნეინა თამარა ალექსანდრეს ასული ვ ხვაჩიშვილისა შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 21 თებერვალს ქალაქ თელავში გარდაიცვალა პირველისა დიდის, მეორეთა დიდედა

თინათინ ივანეს ასული

# ა ფ ხ ა ზ ი ს ა

დაკრძალვა მოხდება ქ. თელავში. 1—1

---

თავზარდაცემულნი ნადეჟდა მიხეილის ასული დალაქიშვილისა, პეტრე, ლიზა და თებრონია ზაქარიას ასული ქურციშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარის მეუღლის, მამისა და სიძის, თბილისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობის წევრის

გიორგი (გოგლა) ვასილის ძის

# დ ა ლ ა ქ ი შ ვ ი ლ ი ს

ტრაგიკულად დაღუპვას 19-ს, ქ. კავკავში, სამხედროების ... დროს.

(ცხედარს გამოასვენებენ განსვენებულის ბინიდან (ქუჩა, № 44) დღეს, კვირას, თებერვლის 25-ს, დილის 9 საათზე. წირვა და ანდერძის აგება ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა დიდუბის სასაფლაოზე. 1—1038—1

---

გულმოკლული დედა ელენე ... ასული პოპიაშვილისა, მამა ნიკოლოზ მიხეილის ძე პოპიაშვილი, ძმები ზაქარია, იოსებ და მიხეილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ პირველ მარტს კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქმნება უდროვოდ წუთისოფელს მოშორებულ, მეორმოცე დღეზარეთის ფერშლის ქალის, საყვარელ

# თამარ ნიკოლოზის ასულის

წლის წირვა და პანაშვიდი.

წირვა საათის ათზე დაიწყება. 1—1036—1

---

სოფიო სოლომონის ასული, შვილი თამარი და ვაჟები პეტრე და ივანე ღრმის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თებერვლის 22-ს საყვარელი ქმარი და მამა ნადვორნი სოვეტნიკი

ნიკოლოზ ივანეს ძე

# ძ ი ძ ი კ ო ვ ი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან (პანასკერტის ქუჩა № 20), წირვა კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა—წმ. ნინოს სასაფლაოზე, კვირას 25 თებერვალს. 1—1035—1

---

გულდათუთქულნი მშობლები კოწია მიქიას ძე, მელანია ქაიხოსროს ძე ქაჯაიები, შვილები ჟორჟი, ანასტასია, ნატალია, რძალი ეკატერინე ქაჯაიასი, სიძე გრიგოლ ... აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის ქალიშვილის, მეორეთა საყვარელ დის, მესამის—მეუღლის, მეოთხის ცოლის დის

# ნ ი ნ ო ს

გარდაცვალებას.

დაკრძალვა—კვირას, თებერვლის 25-ს დღის 12 საათზე. 1—1037—1

---

## დილის წარმოდგენა

## ქართული კლუბი

ქართული დრამა. წარმოდგენა № 37.

კვირას 25 თებერვალს ამხ. ქართ. დრ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება შალვა დადიანის მონაწილეობით

# ს ა მ შ ო ბ ლ ო

5 მოქმ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობენ—ქალნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ევერიელი ა. ვაჟნი: ბარველი ვ., გვარამაძე ნ., დადიანი შ., ზარდალიშვილი ი., თარხნიშვილი ი., იმნაძე გ., იმედაშვილი ა., კობახიძე ი., მაჭარაძე ვ., შალიკაშვილი ვ. ცაციშვილი ნ.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

3—920—3

რეჟისორი ვ. ბარველი.

## ქართული კლუბი

ქართული დრამა. წარმოდგენა № 38.

ორშაბათს 26 თებერვალს, 1918 წ. ამხ. ქართ. დრ. დასის მიერ და ვ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

# ა ლ ლ უ მ ი

4 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ—ქალნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ქიქოძე ა., შოთაძე ა., ევერიელი ა., კაკაბაძე ა., ჩერქეზიშვილი; ვაჟნი: აბაშიძე ვ., გუნია ვ., გვარამაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარხნიშვილი ი., იმნაძე გ., იმედაშვილი ა., ჟღენტი ი., კობახიძე ი., მაჭარაძე ვ., შალიკაშვილი ვ., ცაციშვილი ქ.

რეჟისორი შალ. შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ საათზედ.

3—921—3

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

# მთავარი კომიტეტი

იმყოფება სასახლის ქუჩაზე № 5, (გაზეთ „საქართველოს" რედაქციის ბინა). ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ დროს განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულებათა შეტანა.

---

# „საქართველოს" კონტორა

## აცხადებს, რომ 20 თებერვლიდან გაზეთი ეღირება თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. ხოლო რკინის გზის სადგურებზე 35 კაპ.

---

## ზავის გარშემო

ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების დაწყებამ დაამშვიდა ქართველობა. ეხლა ცხადია, რომ ბოლშევიკ-სოციალ-დემოკრატების სამარცხვინო ხელშეკრულება ოტომანის იმპერიასთან ამიერ-კავკასიის საზღვრების შესახებ თვით ოსმალეთს ჩაუთვლია განუხორციელებლად. დაინტერესებულ ერების აზრი მას სავალდებულოდ მიაჩნია, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის რუს დელეგაციის პირობები ოსმალეთისათვის ფრიად ხელსაყრელია, ეს სახელმწიფო მაინც იწყებს საზავო მოლაპარაკებას ამიერ-კავკასიაში მოსახლე ერებთან.

ცხადია, რომ ოსმალეთის დიპლომატია ამიერ-კავკასიის სეიმის სამშვიდობო დელეგაციას არ შეაწუხებდა მიპატიჟებით, უკეთუ ამ მხარეს იგი სცნობდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად. ევროპიულად განვითარებული დიპლომატების ყოველი ნაბიჯი მიზანშეწონილია: ნურავინ იფიქრებს, რომ ტროცკის მიერ შეთავაზებულ მდიდარ ტერიტორიის უარისყოფით ოსმალეთმა განსაცვიფრებელი რაინდობა გამოიჩინა და ერთა თვითგამორკვევაზე მოისურვა საზღვრების გადამიჯვნა! საქმე იმაშია, რომ ჩრდილოეთის უზარმაზარი სახელმწიფო ბრწყინვალე პორტას მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მუდმივობას უშფოთებდა და აუარებელ ფულს ახარჯვინებდა სომხეთის ვილაეთების გასამაგრებლად. ოსმალეთი ერთის წამსაც არ იყო უზრუნველყოფილი, რომ რუსის ხიშტის ზეგავლენით იგი თანდათანობით არ დაიხევდა ლასვეგლეთისაკენ; მაშასადამე უპირველესი საზრუნავი მისი უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთის შიშის მოშორება. ამიერ-კავკასიის საერთო სახელმწიფოს მოწყობა, თუნდ ამ ტერიტორიაზე მობინადრე ეროვნებათა სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბება უეჭველად აკმაყოფილებს სახონთქროს, რადგანაც ამ შემთხვევაში რუსეთი უკუგდებულია ისეთ ბუნებრივ სიმაგრის იქით, როგორც არის კავკასიონის ქედი.

ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია დიდი გამარჯვებაა, როგორც ამიერ-კავკასიის, ასევე საქართველოსი: ბოლშევიკების ვერაგული წინადადების შეუწყნარებლობით ოსმალეთი შეძლებას გვაძლევს გამოვსთქვათ ჩვენი აზრი გამიჯვნის შესახებ. თუმცა საპარლამენტო დელეგაციას საერთო დირექტივები აქვს და მისი გამოსვლა ოფიციალურად მოწყობილია ისე, როგორც ერთი მთლიანი შეთანხმებული კორპორაციისა, მაგრამ, ეჭვს გარეშე, რომ ოტომანის იმპერიას მოლაპარაკება ექნება ეროვნებათა წარმომადგენლებთან. ბოლშევიკური საფრთხე მოშორებულია, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ყველაფერი ჩვენდა საკეთილოდ დაგვირგვინდება. სალაპარაკო ძილს ვერ მოვეცემით. ნურც იმის იმედი დაგვამშვიდებს, რომ სეიმმა შეიმუშავა საზავო ფორმულა ტრაპიზონში წასაღებად! 1914 წლამდე არსებულ საზღვრების აღდგენა და უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი ოსმალეთისათვის შეუძლებელია, მიუღებელი გახდეს. წ ... გათვალისწინება ყველა გარემოებისა ზოგიერთ შემთხვევაში მოუხერხებელი ხდება, მით უმეტეს დიპლომატიაში. პრინციპების მედიდურად წამოყენებამ ჩვენი საზავო დელეგაცია, იქნებ, ისეთსავე სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდოს, როგორც მოუვიდათ ლენინ-ტროცკის „გამოჩენილ" დელეგატებს! მოგეხსენებათ, რომ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკება ბოლშევიკებმა დაიწყეს დიდი დეკლარაციით, სადაც აღნუსხული იყო ყოველივე ის, რასაც მუდამ დღე გვაწვდიდა მათი ფურცლები. საკითხების პრინციპიული განხილვით რომ გამოაყრუეს გერმანელები, გენერალ ჰოფმანმა მკვახედ მიუგო რუსის ახალ ფორმაციის დიპლომატებს: ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, ბატონებო,—რა საქიროა ჩვენთვის თქვენი პრინციპები?! დიპლომატიური მოლაპარაკება ნამდვილად სპეციფიური თვისების მოვლენაა საზოგადოთ; საჯარო ბაასსა და კამათს იქ ნაკლებ მნიშვნელობას აძლევენ, ვინაიდგან საკითხების არსებითი მხარე უმეტესად კულისებში სწყდება. რა დასამალია,—ჩვენი დელეგატები დიპლომატები ხომ არ არიან, უკეთეს შემთხვევაში, ისინი პოლიტიკურ მოღვაწეებს და, თუ გნებავთ, ორატორებს წარმოადგენენ, და ეს კი სრულებით არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პირის-პირ შეეტაკნენ იმ ადამიანებს, რომელთაც ზედმიწევნით შეუთვისებიათ ტალეირანის დიპლომატიური მეთოდები... ამ მხრივ მეტად უწყალო ქართველი დელეგატების მდგომარეობა: პატრიოტად დაყოფილნი, ისინი ვერ შესძლებენ ერთ გარკვეული შეხედულებით წარსდგენ ოსმალ-დიპლომატების წინაშე და დაიცვან საქართველოს უდავო უფლებანი. სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოებანი, ალბად, იქაც, უცხო ქვეყანაში, ამოჰყოფენ თავს და დაავიწყებენ ჩვენს დელეგატებს მთავარ საგანს, რომლის გადაწყვეტაზე საუკუნოდ დამოკიდებულია საქართველოს მომავალი პოლიტიკური ცხოვრება. თუ ასე მოხდა, უნდა გამოვეთხოვოთ აზრს ჩვენი სამ-

შობლო! უკეთეს მომავალზე, რომლისკენაც დროთა ბრუნვა მიგვაქანებდა, მაგრამ, იქნებ, მომენტის სიდიადემ შეაეროს მოწინააღმდეგენი და „ქართლის ბედით“ დაინტერესებულებმა შეაჩერონ შინაური უთანხმოებანი?!

რ. ინგილო.

## გარემოცული საქართველო

რუსეთის რევოლუციის ცეცხლი სამუდამოდ ჩაქრა. რევოლუციონური დემოკრატია ყოველ დღე ახალ განსაცდელში და გაჭირვებაში ჩავარდნილი დღეს გამარჯვებულ მტერს დაემორჩილა და დამარცხებულის ბედს გაიზიარებს.

როგორც ეტყობა გერმანელები არ სჯერდებიან რუსებისგან დადებულ სამარცხვინო ზავის პირობებს და უარეს სირცხვილს უმზადებენ სახვალიოთ.

რუსეთში მოსახლე გარეშე ერები წინდაწინ მიხვდენ და დაშორდენ კეთროვან რუსეთს, რომ თვითონ მოეწყოთ თავიანთი ბედი. უწინ ქართველები მოღალატეს ეძახდენ ამ ერებს, მხოლოდ ეხლა მიხვდენ, რომ მართალი იყვნენ ისინი, რომელთაც ადრე დასტოვეს რუსეთის ლეში. ბრესტ-ლიტოვსკში საზავო მოლაპარაკების დროს ყველამ მიიღო ეროვნული კომპენსაცია, მხოლოდ ამიერ კავკასიის ჭკუამახვილი ულისები ამ დროს რაზმებს ადგენდენ რუსეთის გარიყულ დაწიოკებულ კაცების დასაცავად, იმ კაცების რომელსაც საქართველოსთვის მონობის გარდა არაფერი შეეძლო მიეცა. პოლიტიკური სირაქლემები, რომელთაც გამბედაობა არ ეყოთ და პეტროგრადში დამარცხებული, შინ საქართველოში შეუდგენ იმავე პოლიტიკის წარმოებას იმ იმედით, რომ ხელის შემშლელი არ ყავდათ. დღეს გრძნობენ თავიანთ მდგომარეობის საშინელებას. რუსეთში ისინი იმას მაინც აბერხებდენ, რომ ყვიროდენ „სამშობლო განსაცდელშია“ საქართველოში ამის თქმისა ეშინიათ. რევოლუციის წლის თავზე რევოლუციონური შემოქმედება იმით დასრულდა, რომ შინაგანი ანარქია ანადგურებს საქართველოს და გარეშე მტერი რუსეთის მუხანათი დემოკრატიის დასტურით და გაპირებით უპირობს ჩამოჭრას საუკეთესო პროვინციები, რომ ომის უფლებით დაისაკუთროს. საქართველოს უკუღმა ირრედენტიზმი დიდი ხანია დაიწყო, ქართველი სოციალისტები გულგრილად სტოვებენ საქართველოს ზოგიერთს განუყოფელს ნაწილებს, და ამას თუ კიდევ ბათუმის და არდაგანის ოლქების ჩამოშორების შიშიც დაემატა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საქართველო სამუდამოთ დაიღუპება. მერე რისი იმედი აქვს დღეს გარემოცულ საქართველოს? თუ ქართველი ჯარისკაცები, რომელთა გმირობის ქებაში გაგვიტარებია ჩვენი დღეები, სამუდამოთ მოიწამლენ რუსულ თხრილებში და ყაზარმებში, დაჰკარგეს პატრიოტიზმის გრძნობა საქართველოს პოლიტიკის ხელმძღვანელნიც არ ჩამორჩებიან მათ ეროვნულ დეკადანსში. გუშინ წინ ეროვნულ საბჭოს მიერ გამართულ მიტინგზე, რომელიც გამოფენა იყო უნიჭო და ტრაფარეტი პროპაგანდისტების, ეროვნულ საბჭოს სახელით ლაპარაკობდა ერთი ხნიერი ს. დემოკრატი, სიტყვაში რომელიც ერთი საათი გაგრძელდა იმას ერთხელაც არ უხსენებია სამშობლო და მოუხმობდა ხალხს ქვეყნის დასაცავად. ასეთი პირები ვერასდროს ვერ გამოიწვევენ ძლიერ პატრიოტულ აღფრთოვანებას, ყოველი მათი დაწყება წინდაწინ განწირულია და უნიადაგო. არასდროს არ ყოფილა საქართველო ასე მოდუნებული როგორც დღეს. რუსეთში სახელიანი რევოლუციონერები დღეს ნაცარქექიას შთაბეჭდილებას სტოვებენ, როდესაც გაუგეს ყველა ოინები და მოიშორეს თავიდან და რომელთაც ძალაც არ შესწევთ თავიანთი კერა დაიცვან.

ვერავინ იტყვის, რომ ჩვენი დრო არ იყოს გმირობის დრო!.. ფრანგები ქესტიანი ხალხია, მაგრამ როცა ოთხმოცი წლის მოდუნებული მეზერი სკეპტიკი ანატოლ ფრანსი პრეზიდენტს სთხოვდა ვოლონტიერათ მიღებას ამაში იყო გულწრფელობა, სამაგი ფრანგი პოეტი ორი თვის განმავლობაში დაიხოცენ მარნასთან და პარიზის ქუჩებში როისინებიც კი აფურთხებდენ იმათ, ვინც ომში არ მიდიოდა—ეს იმ ქვეყანაში, რომელიც ყველაზე უფრო იყო გადაგვარებული, რომ არ ითქვას რამე გერმანიაზე, სადაც წითელ ჯვარის რაზმში ჩაწერილი პროფესორები უფარდებოდნენ ხელში მტრის ნება დაურთველად იარაღის ხმარებისთვის.

დღეს უნდა გამოჩნდეს რამდენად შეგვინახეს ჩვენ ქართველებმა ჩვენი ეროვნული შეგნება, თუ სამუდამოთ არ ვართ გაჟღენთილი რუსულ ხლისტური და „პრავოსლავნი“ სულით.

საჭირო არ არი გაკეთებული პათოსი, დღეს ყოველი რადიო მთავრობის ანგელოზის საყვირით ყვირის და გარემოცული საქართველო ელის უკანასკნელ შეიარაღებას. ჩვენი თაობა თავის თავს ასამართლებს...

ტიტე ტაბიძე.

## ზავის გარშემო
### ზავი გერმანეთთან
### კრილენკოს შეკითხვა

ყველას. ბერლინი. გერმანეთის უმაღლეს სარდლობას. ვენა. ავსტრიის უმაღლეს სარდლობას. ბრესტ-ლიტოვსკი. შტაბის უფროს გენერალ ჰოფმანს.

რაკი მარტის 3 საზავო ხელშეკრულობას ხელი მოვაწერეთ, მარტის 4-ს გათენებისას გავეცი ბრძანება ყველა ფრონტებზე ოთხთა კავშირის ჯარების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ. ამისდა მიუხედავად იანბურგიდან, ორშიდან, გომელ-ბრიანსკის ხაზიდან და სხვა პუნქტებიდან მოდის ცნობები გერმანელთა და ავსტრიელების მიერ გაგრძელებულ სამხედრო მოქმედებებზე. ამით გთხოვ გვაცნობოთ: მიღებულია თუ არა ცნობა, რომ გერმანეთის რაზმებმა შეაჩერონ სამხედრო მოქმედება. ყოველ შემთხვევაში, შეუძლებლად ვცნობ, რომ სამხედრო მოქმედება დაწყობილ იქნას გერმანეთის სარდლების მიერ, მით უმეტეს არავითარი გაფრთხილება არც წერილობით, არც რადიოთი არ მიგვიღია.

## ომი
### გერმანელების შემოტევა
### უკანასკნელი სამხედრო ცნობები

ავსტრიელ-გერმანელებმა დაიჭირეს ქერინკა. რეგულ-არულ ნაწილებმა დაიხიეს. მურავიოვის რევოლუციონურმა რაზმმა... (გამოშვებულია) ჩვენი რაზმი კი რომონდისკენ მიდის. გამოგზავნეთ ძლიერი რაზმები ბელოპოლიამდის. მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთსა და გერმანეთს შორის ზავი შეკრულია ჩვენ მთელ ჩვენს ძალებს მოვუყაროთ თავი, ჩვენები ეს მერვე დღეა რაც განუწყვეტლივ იბრძვიან. ბრძოლით იხევენ ბერდიჩევიდან, ჟიტომირიდან, ბერეზინიდან კიევისკენ. სამი დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენები წამოვიდნენ დარნიცასა და ბროვარისკენ. დაიკარგა რამდენიმე ასი კაცი მტერს ნადავლი არ უნდა დავუტოვოთ. . . . . . (გამოშვებულია.)—რევოლუციის სახსნელად.

სახალხო მდივანი ხრიპნიკი.

## ბოლშევიკების დიქტატურა
### იალტაში

თავზარდაცემული იალტელები გარბიან და ღვთის ანაბარად სტოვებენ თავის სახლ-კარს.

### შპოლიანის რესპუბლიკა

შპოლიანის ოლქმა, (კიევის გუბერნია) თავისი თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა.

### ფულის გატაცება

პროსკუროვში, გზათა მინისტრს ბოლშევიკ დუბინინს 400.000 მანეთი გაუტაცია.

### დონის რესპუბლიკის მთავრობა

ხარკოვიდან იტყობინებიან, რომ საბჭოთა საოლქო კომიტეტებმა „დონის რესპუბლიკის“ მთავრობა შეადგინეს. თავმჯდომარედ არჩეულია ბოლშევიკი სერგეევი, კომისრებად ორი ბოლშევიკი და მემარცხენე სოციალ-რევოლუციონერები. ახალ საბჭოს გამოუცია ისეთი უდიდო დეკრეტები, რომ იძულებული გახდა მოქმედება შეეჩერებინა.

### ახალი კოლეგია

სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსდა უმაღლესი ავტონომიური კოლეგია რუსეთ რუმინელთა და ბესარაბიის საქმეებისთვის. კოლეგიის მიზანია—რევოლუციონურ მოძრაობის მოწყობა რუმინეთსა და ბულგარეთში. კოლეგიაში შევიდნენ: რუმინელ სოციალ-დემოკრატები რაჩგიელი კუზოვი, კული, ბრაშევანი, ბოლშევიკი კორონიევი და სხ. კოლეგია ამ დღეებში გაემგზავრება სამხრეთისკენ.

### რევოლუციის დღესასწაული

ცენტრალ. აღმას. კომიტეტის დადგენილებით რევოლუციის დღესასწაული, 28 თებერვლის ნაცვლად, 18 მარტისთვის გადაიდო.

### „ნაში ვედომოსტის“ დახურვა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაიხურა გაზეთი „ნაში ვედომოსტი“ (ყოფილი „ბირჟევია ვედ.“) რედაქციის წევრებს გადასცემენ სამხედრო-სარევოლუციო ტრიბუნალს.

### საადგილ-მამულო კომიტეტების ყრილობა

ამას წინედ პეტროგრადში მოხდა საადგილ-მამულო კომიტეტების ყრილობა. სატახტო ქალაქის გაზეთების ცნობით, სახალხო კომისართა საბჭომ გასცა განკარგულება, რომ ყრილობის წევრებისთვის პური არ მიეცათ. ყრილობამ პურისათვის კურსკში საგანგებო დელეგაცია გაგზავნა.

### რელიგიური მოძრაობა

რელიგიური მოძრაობა პეტროგრადსა და მოსკოვში ცხოველდება და ბოლშევიკებში დიდ მღელვარებას იწვევს.

### უკრაინელთა შევიწროება ხარკოვში

ხარკოვში, ბოლშევიკთა ბატონობის დროს, დიდად ავიწროვებდნენ უკრაინელთა სოციალ-რევოლუციონერებს და ს.-დემოკრატებს, აუკრძალეს გაზეთის გამოცემა და სხ. ბოლშევიკების „სახალხო სეკრეტარიატში“ შედიოდნენ: რუსები, ებრაელები და ინგუშებიც კი, მაგრამ არც ერთი უკრაინელი.

### როშალის მოკვლა

გამოირკვა, რომ რუმინეთის ფრონტზე მოკლული ცნობილი როშალი აგიტაციას ეწეოდა რუმინეთის მეფის დაპატიმრების შესახებ. როშალის აზრით, მეფე ერთ-ერთ რაზმთაგანს უნდა დაეპატიმრებინა. ამასთანავე გაცემული იყო ბრძანება ბრატიანუს, შჩერბაჩევის და სხ. დატუსაღების შესახებ.

### მინორის შეპყრობა

მოსკოვი. თებერვლის 8. გუშინ ნაშუადღევის 12 საათზე შეიპყრეს სოციალისტ-რევოლუციონერების მეთაური ო. ს. მინორი. მიზეზი გაზეთ „ტრუდ“-ის ჯარიმის გადაუხდელობაა. მინორი ტაგანის ციხეში ჩასვეს.

### სამარყანდის აღება

მოსკოვი. თებერვლის 7. ბოლშევიკურ სააგენტოს ატყობინებენ: აქ ხმები გავრცელდა ლენინის მოკვლის შესახებ. ამით კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებულ ყაზახების ეშელონმა ისარგებლა და ახალ ბუხარაში წითელ გვარდიელებს იარაღი აჰყარა. დაიპყრეს სამარყანდიც.

### ბოლშევიკური ჯარი

ყაზანელ ბოლშევიკთა ლაშქარში სრული აღრევა და უთანხმოებაა. დეზერტირობა მტკიცე ხასიათს იღებს.

### ნიკოლოზ მეორის დღიური

„პ. გ.“-ს ატყობინებენ, რომ ციმბირის გაზეთებში იბეჭდება ნიკოლოზ მე-2 ის დღიური ნაწყვეტები.

### ასხაბადი

ასხაბადს თემურდები ეცემიან, სძარცვავენ და ჰგლეჯენ მოსახლეობას. ქალაქში სიმშილი მძვინვარებს.

### სამღვდელოების დევნა

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, დაითხოვოს მღვდელმსახურნი ყველა სარწმუნოებისა, რომელნიც კი სამხედრო უწყებაში არიან. სამხედრო კომიტეტებს, ნება ეძლევათ სურვილისამებრ დაიტოვონ მღვდელმსახურნი. სამარის სამღვდელოებამ ბოლშევიკების დეკრეტის გამო პროტესტი გამოაცხადა. სამღვდელოება სამართალში მისცეს. პეტროგრადის სამღვდელოებამ ოპტინის უდაბნოდან მქადაგებლები გამოიწვია მცხოვრებთა სანუგეშებლად. მოსკოვის სამღვდელოებამ ანათემით დასწყევლა ლენინი და სხვა „სახალხო კომისრები“. ბოლშევიკებმა კრონშტადტელი ღვდლები მილიციაში გაიწვიეს.

### პურის კონტრიბუცია

ხარკოვის გუბერნიაში, ბოლშევიკებმა გლეხებს პურის კონტრიბუცია დაადეს.

### ოდესაში

ოდესაში, მთვრალმა ხულიგანთა ბრბომ მოინდომა ქალაქის დარბევა, მაგრამ შეიარაღებულმა ძალამ განდევნა იგინი. ქალაქი საალყო წესებშია გამოცხადებული.

### ტვერში

ტვერში ანარქიამ იჩინა თავი. ბრბომ აიკლო საუკეთესო მაღაზიები და დუქნები. მცხოვრებლები გარბიან, ქალაქის ერთი ნაწილი იწვის.

## ეკონომიური ცხოვრება
### რუსეთის ვალი.

რუსეთის სახელმწიფოებრივი ვალი 1914 წ. იანვრის პირველამდე 8.825,4 მილიონ მანეთს უდრიდა. შემდეგ წლის პირველ იანვრისთვის იგი ვალი უკვე 10.488,5 მილიონ მანეთს უდრიდა. 1916 წ. იანვრის პირველისთვის—18.876,7 მილიონ მანეთს; 1917 წ. პირველ იანვრისთვის—33.580,8 მილიონ მანეთს; 1917 წ. მკათათვის კი—43.906,0 მილიონს. ხოლო 1918 წ. იანვრისთვის ვალი უკვე 60.000,0 მილიონ მანეთს უდრიდა.

### ვაჭრობა.

1913 წ. რუსეთიდან გაუტანიათ 1,520 მილიონ მანეთის საქონელი. შეუზიდიათ 1.379 მილიონის. 1914 წ. გაუტანიათ—957 მილიონისა, შემოუზიდნიათ—1.098 მილიონის, 1915 წ.—გაუზიდნიათ 402 მილიონის, შემოუზიდნიათ 1153 მილიონის. 1916 წ. გაუზიდნიათ 579 მილიონის, შემოუზიდნიათ 2.707 მილიონის. სამ წლის განმავლობაში შემოზიდულ საქონლის ფასი 3.021 მილიონ მანეთს აღემატება გაზიდულ საქონლის ფასს. 3 წლის განმავლობაში [illegible] და რომ უცხოელებს 3,021 მილიონი მანეთი მისცეს ოქროთი.

### იაფი საქონელი როსტოვში

როსტოვში, ყაზახთა მეთაურეობით მოვიდა მანუფაქტურის მატარებელი „საბა მოროზოვი“. არშინი საუკეთესო მაუდისა იყიდება 1 მ. 80 კ. ჩითი—30—40 კ. მოსკოვში ზოგიერთ ფირმებს განუცხადებიათ, რომ იაფ საქონელს ბევრს გამოუშვებთ, ოღონდ სწორე მისვლა-მოსვლა სწარმოებდესო.

### ქაღალდის ფულის სიმრავლე.

ბოლშევიკებმა იმდენი ქაღალდის ფული გამოსცეს, რომ, მათი რაოდენობა დღემდე არავინ უწყის, რადგან სახელმწიფო ბანკის ბალანსს არ აქვეყნებენ.

## უკანასკნელი დეპეშები

თებერვლის 22-ს გზათა მიმოსვლის კომისარს განჯიდან ალასკერ ხასმამედოვმა შეატყობინა: დღეს თქვენ და ჩხენკელს დეპეშით გთხოვე, ეშელონები მოგვაშოროთ, ამაზე გთხოვთ ეხლაც. ქალაქში და რკინის გზაზე სიწყნარეა. დღეს თბილისიდან ბაქოსკენ მშვიდობიანად გაიარა სამგზავრო მატარებელმა № 4.

იმავე დღეს იქიდანვე მოვიდა შემდეგი დეპეშა: სრული იმედია, რომ რკინის გზაზე მოძრაობა აღდგენილ იქნება, ხოლო ვიდრე ეშელონები არ არის აქ. ამიტომ გთხოვთ, ეშელონები აღარ გამოუშვათ. ამ პირობებში გამოუშვით მატარებლები ბაქოსკენ და უკანვე. გამოგზავნეთ ჯავშნიანი მატარებელი. მოვიდა სამგზავრო და საბარგო ავტომობილები ნუხასა, ევლახსა და გერიუსში ფოსტის გადასაზიდად.

—

ბაშკიჩეტიდან საქართველოს ეროვნულ საბჭოს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: მაჰმადიან მცხოვრებთა შორის ძლიერმა მოძრაობამ იჩინა თავი ქრისტიანთა წინააღმდეგ. გთხოვთ გამოგზავნოთ არტილერია, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ ქრისტიან მცხოვრებლებს განადგურება მოელის.

რწმუნებულნი: ციხელაშვილი, რუაშვილი, სემილაშვილი, მახარაძე, ყუსმაშვილი, მარდოსაშვილი.

## ქრონიკა
### თბილისი.

✦ საზავო დელეგაცია, როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატს დეპეშით ატყობინებენ, თებერვლის 23-ს გასულა ბათომიდან და იმავე დღეს ტრაპიზონში მისულა.

✦ ბრძანებანი ამიერ კავკასიის კომისარიატისა. როგორც ცნობები შევკრიბეთ, ზოგიერთი ორგანიზაციები განკარგულებას აძლევენ შესახებ სამხედრო სამსახურში გაწვევისა და ეროვნულ ნაწილებში დაბრუნებისა. ამასთანავე ეს ორგანიზაციები არ ევევენ ამიერ-კავკასიის კომისარიატის

## ბათუმი

ამ ჟამად საქართველო ახალგაზრდა ქალს ჰგავს. სდგას რა [illegible] ხის წინაშე და გლეჯს რა მის ყვავილიდან ფურცლებს, ის ფიქრობს: უყვარს თუ არა?—წაიღებს ოსმალეთი ბათუმს, თუ არ წაიღებს?

და მადლობა ღმერთს!, რომ საქართველო სწორედ ქალსა ჰგავს. საქართველო ეხლა განსაცდელშია, განსაცდელის ჟამს კი, საფრთხის წინაშე, არავინ არ არის ისეთი უფრო თავდადებული, უფრო თავ-განწირული, ვიდრე ქალი! ოსმალეებმა რომ ბათუმი წაიღონ, საქართველო—ქალი მასში დაჰკარგავს ძმას, ვაჟიშვილს, ქმარს, თავის სიყვარულს, ყველა იმას, რაც ასე უყვარს ქალს.

აქედან ცხადია, რატომ შეატრიალა ბოლშევიკურმა ზავმა საქართველოში ყველაფერი და რატომ იყო რომ მოხუცი ისიდორე რამიშვილი, რომელიც ოცდახუთი წლის განმავლობაში, იქნება პირველად ლაპარაკობდა საქართველოზე, მის ეროვნულ სხეულზე, ერის ნებისყოფაზე და ერის თავდაცვის უნარზე—არასოდეს არ ყოფილა ისე მჭევრმეტყველი, მჭევრმეტყველობაში ისე ლამაზი და სილამაზეში ისე ქართველი, როგორც ამ დღეებში, როცა საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ გამართულ მიტინგზე ლაპარაკობდა.

მე მწამს, ოსმალეთი რომ საპატიო ზავზე არ დაგვეთანხმდეს—ჩვენ ყველანი ბათუმის დასაცავად წავალთ! და ეს იქნება ჩვენი უდიდესი წასვლა—შეიძლება საქართველოდან, შეიძლება მთლად—„ამ სოფლიდან“, მაგრამ წასვლა რაინდული, პატრიოტული, თავგანწირული.

ბათუმი მე ვნახე ჩემი ცხოვრების განთიადზე. მერე მე ვნახე 1915 წ., ამ ომის დროს, როდესაც ქართული რაზმები აჭარის დასაცავად ჩავიდნენ ჯერ იქ და შემდეგ თვით აჭარაში. ბათუმში პირველად ვნახე ქართული ჯარის ჩანასახი და იქვე მოვისმინე პანაშვიდი იმ დღეებში მიცვალებულ აკაკი წერეთლისა. ეხლა რომ იქ ნამდვილი ქართული ჯარი ვნახო და შემდეგ გამარჯვების პარაკლისი მოვისმინო ეს იქნება საუკეთესო გამეორება ისტორიისა და საქართველოს მგოსნის სული, რომელსაც ჩვენ მაშინ ვასვენებდით, განისვენებს.

ბათუმი მე მინახავს მრავალჯერ, ზამთარშიაც, ზაფხულშიც, მაგრამ ეს უკანასკნელი არაფერს არ ნიშნავს. არც ზაფხული, არც ზამთარი განსხვავებას არ ქნიან ბათუმისთვის.

იქ მუდამ მზეა, იქ მუდამ მწვანეა. ცა იქ მუდამ ლაჟვარდია და იქ არის ზღვა, მაგვარი სარკისა, რომელშიაც უნდა ჩაიხედოს მთელმა საქართველომ.

ვიდრე საქართველო ამ სარკეში არ ჩაიხედავს, თავის თავს ვერ იცნობს, თავის მომავლის გზას ვერ გამონახავს.

ბათუმის ისტორია ახალგაზრდა საქართველოს ისტორიაა. იქ არ არის ძველი ეკლესიები, იქ არ არიან საფლავნი ჩვენ მამა-პაპათა. რომანტიკოსს ადგილი არა აქვს ბათუმში. ყველაზე ძველი ბათუმში „ოსმალური ყვავა“—აქედან ოსმალური პრეტენზიებიც. მაგრამ რაც კი რამ ახალია საქართველოში: მისი სწორი ქუჩები, მისი პლიაჟი, მისი ბულვარები, მისი ნავთსადგურები, გემები და ქარხნები—ერთი სიტყვით ყველა ის ახალი, რაც ბებრუხანა საქართველოს ახალგაზრდობის—მხოლოდ ბათუმშია.

ბათუმი სახეა ახალის საქართველოსი, ბათუმი კარია ქართველი ხალხის ახალ სავალ გზებისა.

მე არ ვიცი საქართველოში სხვა ქალაქი, გარდა ხონისა, სადაც, იმერულ ენამახვილობას რომ დაუჯეროთ, რწყილსაც კი ისე ატყავებენ, რომ ქონს არ აყოლებენ, უფრო საქმიანი, უფრო სერიოზული, უფრო მომავლიანი ქალაქი, ვიდრე ბათუმი.

ქუთაისი რეზინა არის—მაზედ მეტად არ გაიწევა ვიდრე ეს რეზინას შეუძლიან. ფოთი საქართველოს ციებაა, თბილისი—მისი ელდა. და მხოლოდ ბათუმია ახალი ფიქრი, ახალი უნარი საქართველოსი.

ას ჩვიდმეტი წლის წინეთ დარიალი იყო ჩვენი კარი. „ოკაზიებით“ „ობრატნებით“ და „ნაჩაიებით“ ჩვენ დავიწყეთ სიარული ჩვენს გარეშე მყოფ ქვეყნებში და ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ საუკეთესო რელიკვიაა ქართველი ხალხის ამ ასი წლის განმავლობაში მოგზაურობისა. ეს იყო მაბეზარი მოგზაურობა.

და სრულიად უჩინრად, იმ დროს, როცა ჩვენი დამტყვევებელი რუსული „ტროიკა“ დარიალის ხეობაში იყო დაბანდებული, უწყალოდ და უნაყოფოთ საქართველოს კედლებში გამოიჭრა ახალი კარები—ბათუმი, მის ნავთსადგურით, მის კომფორტიანი გემებით, რომელსაც საქართველო მოხდომაში კი აღარ ჩაჰყავდა, არამედ ბოსფორში, იქიდან დარდანელზე და მოსკოვის კრემლის ნაცვლად ათინის აკროპოლისს და ნიცის რივიერას უახლოვებდა.

და იმავე გზით ჩვენში მოდიოდა ახალი სიო ახალის ცხოვრებისა,

მე მგონია ყველაზედ მეტად ბათუმი ჩვენს დემოკრატიას უნდა უყვარდეს. ეს მისი ქალაქია და ზღვა, რომელიც ჰბანს ბათუმის კიდეებს, ზღვაა მის მღელვარე სულისა. ბათუმში იზრდებოდა და ჰპატკდებოდა ქართული რევოლუცია, როგორც ნაწილი რუსეთის რევოლუციისა. მართალია ამ ბრწყინვალე დასაწყისს ერთი ტრაგიკული ბოლო აქვს. იმ დროს როცა ქართული რევოლუცია ბათუმის პორტში დაიბადა, რუსეთის რევოლუცია კრონშტადტის პორტში მოკვდა, იგი მოჰკლეს იქ მთვრალმა მატროსებმა, ზღვამ აწყინა რუსეთის რევოლუციას, მაგრამ აქ საქართველოში და იქ ბათუმში ჯერჯერობით ეს არ მომხდარა.

იქ კიდევ ცოცხალია ლამაზი და საღმრთო მოგონება იმისა, თუ როგორ მართავდენ ქართველი მუშები მიტინგს—მაშინდელ „სხოდკას“—ზღვაზე.

შეიძლება განა ამის დავიწყება!

და შეიძლება განა ამის შემდეგ იმის თქმა, რომ დემოკრატია მოკლებულია უნარს პოეზიისას, ესთეტიურ გრძნობას თავის ბრძოლაში!

იქ, ზღვის კენწეროზე, პატარა ნავებში და სპორტის სახით, მეფის ჟანდარმების და პოლიციის თვალსახვევად პირველად ისმენდენ პირველ სიტყვას თავისუფლებისას, პირველი არწივები ჩვენის რევოლუციისა.

ეს იყო ჩვენი პირველი „რევოლუციონური ფლოტი“, მშრალზეც მოხერხებულად მცოდნე სიარულისა, იქიდან ისინი ეფინებოდნენ მთელ საქართველოს, მთელ რუსეთს, თავიანთ თავგანწირულებაში ციმბირის საყინულეებამდე მისულნი—მაგრამ უკვე ბორკილებით.

და მუდამ წითელი გურია, რომელიც ისე აკრავს ბათომს, როგორც ელენთა გულს, ის რეზერვუარი იყო, რომელიც ავსებდა ბათომს ენერგიით და უნარით თავისუფლებისათვის ბრძოლისა.

რა დაემართება ეხლა გურიას და მასთან მთელ საქართველოს, თუ ვინმე აჭრის მას ამ გულს? მე არ მინდა ვიწინასწარმეტყველო. არიან სიტყვები, [illegible] ფიქრზე უფრო მტანჯველი. დეე ნურავინ ჩვენგანი ნუ იტყვის ჯერ ამ სიტყვებს. ჩვენ რომ ეროვნული ჰიმნი გვქონდეს, მე ვთხოვდი ყოველ ქართველს, ვიდრე ბათომის საკითხი გადასწყდება, ემღერათ ეს ჰიმნი, როგორც საუკეთესო პატრიოტული ლოცვა, შთამბეჭდველი სიყვარულისა ბათომისადმი და კიდევ...

შთამაგონებელი პატრიოტული ვაჟკაცობისა, რაც ასე საჭიროა გამარჯვებისთვის, თუ ჩვენ ბრძოლა დაგვჭირდა.

შ. ამირეჯიბი.

## კერძო ინიციატივა თუ განსაზოგადოებრივობა?

ადამიანის პსიხოლოგია იმდენად ემორჩილება ახლად შემოსულ იდეას, რომ ზოგჯერ ვერავითარი ძალა ვერ დაარწმუნებს მას ამ მოსაზრების იდეის მოუხმარებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ მთელი თანამედროვე მეცნიერება აშენებულია აბსოლუტის უარყოფაზე, რომელსაც ცნობილმა ფიზიკოსმა ხვოლსონმა ერთ-ერთ თავის ლექციაზედ უწოდა „horror absoluti“. ადამიანის და მეტადრე მასის პსიხოლოგია ეძებს სწორედ მეცნიერებისაგან უარყოფილს აბსოლუტს და ნახავს რა—მაშინვე დაეყრდნობა მასზედ და ყველა საწინააღმდეგო იდეებს ცრუმორწმუნეობად აცხადებს. ავიწყდებათ, რომ ყოველ იდეას, ყოველ აზრს კაცობრიობის ცხოვრებაში აქვს მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა. იდეა ხორციელდება არა იმიტომ, რომ ის სიმპატიური, სამართლიანი და ან ლოგიკურად ლამაზად აშენებულია, არამედ იმიტომ, რომ ობიექტიური პირობები, ჩვენს დაუკითხავად უშენებენ და უმაგრებენ მას საფუძველს. რასაკვირველია, თუ რომელიმე ძლევამოსილი ორგანიზაცია ან სახელმწიფოებრივი აპარატი ამ იდეის განხორციელებას წინააღუდგება და ებრძვის, მისი განხორციელება დროებით ჩერდება, მაგრამ ეს შეჩერება საგრძნობელ მავნებლობას აძლევს მთელს სახელმწიფოებრივ ორგანიზმს და ზოგჯერ მას საშიშ მდგომარეობაშიაც აყენებს. ამიტომ სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელიც ამა თუ იმ ერის ბედ იღბალს განაგებს, უნდა ეყრდნობოდეს არა რომელიმე აბსოლუტურად მიღებულ იდეას, არამედ მთელ თავის მოქმედების და მისწრაფების პროგრამაში უნდა უმორჩილებდეს დღევანდელ და ხვალინდელ დღის ობიექტიურ ეკონომიურ პირობებს. ასე იქცევა გონიერი და მომქმედი სახელმწიფოებრივი აპარატი.

სამრეწველო და საერთოდ სატექნიკო ორგანიზაციების განსაზოგადოებრივობა, რა სახითაც უნდა მოხდეს ის, ნაციონალიზაციის თუ მუნიციპალიზაციის წესით, დამოკიდებულია არა იმაზედ თუ როგორ მოსწონს მთავრობას ან ქალაქის თვითმართველობას იდეა ამ დაწესებულებათა საზო-

დეკრეტს სამხედრო მობილიზაციის შესახებ, მაგალითად, თავიანთ ნებით უმატებენ წლოვანებას, სასჯელს უნიშნავენ იმათ, ვინც სამსახურს გაურბის და სხ. კომისარიატს შეუწყნარებლად მიაჩნია ორგანიზაციების ასეთი თვითნებობა და იმედოვნებს, რომ ორგანიზაციები დაუბრუნდებიან დეკრეტის ფარგლებს და კომისარიატს იძულებულ არ ჰყოფენ ენერგიულ ღონისძიებას მიმართოს.

**ხარჯები სასახლის საჭიროებისათვის.** თებერვლის 21-ის სხდომაზე სასახლის მეთვალყურეს მიმდინარე ხარჯების დასაფარავად იანვრისთვის ავანსად მიეცა 18 ათასი მანეთი.

## ოზურგეთი

**საავტომობილო მოძრაობა.** ოზურგეთის გამგეობამ გადასწყვიტა ავტომობილების მოძრაობა მოაწყოს სად. ნატანებიდან ქალაქამდე 20 ვერსის მანძილზე.

**პირდაპირი მავთული.** ქალაქის თავმა ღლონტმა ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ოზურგეთიდან სადგ. ნატანებზე თბილისში პირდაპირი მავთული გაიყვანონ, ვინაიდგან ამას თხოულობს მომენტის სიმწვავე.

## პარტიული ცხოვრება

**მთავარი კომიტეტის კრება.** დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტის კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები.

**საორგანიზაციო სექციის კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე შესდგება საორგანიზაციო სექციის კრება.

**სარედაქციო კოლეგიის კრება.** საღამოს 8 საათზე საქართველოს რედაქციაში შესდგება სარედაქციო კოლეგიის კრება.

**თბილისის კომიტეტის კრება.** დღეს, შუადღის 12 საათზე სამეურნეო ბანკში შესდგება თბილისის ყველა საუბნო კომიტეტების წარმომადგენელთა კრება თბილისის კომიტეტის ასარჩევად.

## თელავის ამბები

თელავიდან პირდაპირის მავთულით შემდეგს იტყობინებიან:

„გუშინ, თებერვლის 22-ს, დილის 9 საათზე, წითელგვარდიელებმა ალყა შემოარტყეს ყაზარმებს და დაიჭირეს მაღლობები. 11 საათზე ყაზარმებს სროლა დაუწყეს. მერვე ქართული პოლკის ჯარისკაცები შეიარაღებული ჯგუფ-ჯგუფად აქეთ-იქით გაიქცენ. წითელ გვარდიელები მათ იჭერდნენ და იარაღს ჰყრიდენ, დაჭერილებს დარაჯებს უყენებდენ და ისე გზავნიდენ. ყაზარმა ცოტა ხანს კიდევ არ ნებდებოდა. წითელ გვარდიელებმა დაიჭირეს ერთი მაღალი ადგილი და იქიდან ტყვიისმფრქვეველი მიუშვნეს ყაზარმას. ჯავშნიან მატარებლის უფროსმა ზარბაზნები დაუყენა სადგურიდან. გაუგზავნეს პარლამენტიორი და ულტიმატუმი დაუყენეს: ერთ საათში იარაღი დაეყარათ. ჯარისკაცებმა იარაღი დაჰყარეს.

ყაზარმები წითელ-გვარდიელების ხელში გადავიდა. როგორც აფიცრებს, ისე ჯარისკაცებს, იარაღი აჰყარეს. სამწუხაროდ, 500—6000 ჯარისკაციდან ყაზარმაში და მის გარედ მხოლოდ 200 აღმოჩნდა, დანარჩენები შიშით გაქცეულან, თან წაუღიათ ნაძარცვი საქონელი და იარაღი, ამიტომ მოსალოდნელია ექსცესები მაზრაში. მეთაურები ყველა დაიჭირეს. დანარჩენები გაუშვეს. ჯარის უფროსი და აფიცრები ჯავშნიან მატარებლით თბილისში მოჰყავთ.

წითელ გვარდიელების მხრით მოკლულია ერთი, ერთი დაჭრილი და ერთიც გაკაწრული; ჯარისკაცების მხრით მოკლულია სამი ჯარის კაცი და ერთი აფიცერი. წითელ გვარდიელები მიდიან და აქ სტოვებენ რამოდენიმე ათეულს, რომ ადგილობრივ შეადგინონ წითელი გვარდია. წითელი გვარდია სამაგალითოდ მოიქცა და მცხოვრებლების დიდი მადლობა და აღფრთოვანება დაიმსახურა. რაც შეეხება ყორღანას და ნაფიას წითელ გვარდიელების წინააღმდეგ, არავითარი ზომები არ მიუღიათ, წინააღმდეგ, ამ დღეს ეხმარებოდენ ჯარისკაცებთან ბრძოლაში.

## იშვიათ მუშაკის ხსოვნას

(გოგლა დალაქიშვილის კუბოსთან)

დღეს დიდუბის სასაფლაო კვლავ ჩაიბარებს ჩვენის ცხოვრების ერთ-ერთ ახლად გაშლილს ყვავილს.., მიწას მივაყრით კიდევ ერთს დაკარგულს იმედს... გამოვესალმებით კიდევ ერთს უდროვოდ ფრთა-შეკვეცილს სიცოცხლეს... უკანასკნელს ცრემლს დავაყრით უმანკო, სათუთს პიროვნებას—ვისაც ბუნებამ მრავლად მიჰკერძა ნიჭიც, ცოდნაც, მხნეობაც, ვინც შემკული იყო ყოველგვარ ამგვარ ღირსებით მამულის სამსახურისათვის ვისაც სამშობლოს წმინდა სიყვარული უქრობელ ლამპარად ენთო გულში... ენთო და ემსახურებოდა მთელის თავისის არსებით, ემსახურებოდა გატაცებით, გაგიჟებით, ფანატიკურად... ემსახურა უკანასკნელ წუთამდე, ვიდრე თავისს სადარაჯოზე დალევდა უმანკო სულსა, ვიდრე მტრის ტყვია შეუბრალებლად გაუპობდა სპეტაკ გულსა... ის მუშა იყო, საქმის კაცი.. მას სწამდა, რომ მშობელ ქვეყნის ხსნა მხოლოდ პატიოსანს შრომაშია... და ის შრომობდა, ილწოდა, მუშაობდა—თავდადებით, თავგანწირვით, ჩუმად, ხმა ამოუღებლივ... მან თავის ცხოვრებით დაგვანახვა, თუ რა შეუძლიან ნიჭსა და ცოდნას, რა შეუძლიან მამულის სიყვარულით გატაცებულს და გამთბარს მადლიანს შრომას. ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი იყო მისი სიცოცხლე—ლამაზ ფერადებით იყო ნაქსოვი [illegible] და შეუპოვარი მისწრაფება სწავლა-განათლებისაკენ უდედმამოდ დარჩენილ, მარტო თავისის მარჯვენის შემყურე და მოიმედე ყრმისა და ჭაბუკისა... თვალწარმტაცი—უზომო ენერგია და დაუშრეტელი იმედი დავაჟკაცებულ მოღვაწისა... წმინდა მსხვერპლი—სამშობლოს სამსხვერპლოზე დაწვა ჯანღონით სავსე ვაჟკაცისა, ოჯახის ბურჯისა და სიხარულისა, ქვეყნის იმედისა... ლამაზი იყო იგი ცხოვრება და ლამაზად, გმირულად დამთავრდა...

ნ. ჟორდანია.

## გოგლა დალაქიშვილის ხსოვნას

დღეს ცივ მიწას ვაბარებთ ჩვენ საყვარელ გოგლას. რათ მოსპეს ვერაგებმა შენი წმინდა მუშაობა, რათ გაწყვიტეს ძაფი ეგრეთი მდიდარი და ძვირფასი სიცოცხლისა?

შენ გვაჩვენე საყვარელო გოგლა, როგორ უნდა მოქმედება საზოგადო ასპარეზზე, როგორ უნდა თავის შეწირვა წმინდა საქმისთვის.

მაგონდება შენი ბაასი კაკავში წასვლის წინა დღეებში,—გოგლა არეულობაა, თუ შეიძლება ნუ წახვალ, გეუბნებოდი მე. ხომ უნდა წავიდეს ვინმე და მე კი ვგრძნობ, რომ ჩემზე უკეთ ამ საქმეს ვერვინ გააკეთებსო—ამბობდი შენ. მაგონდება შენი ხვეწნა ნადიას გაუფრთხილდითო, თურმე შენ თავი გადადებული გქონია და ჩვენ კი არხეინათ გაგისტუმრეთ სასაკლაოზე! მაგრამ საყვარელო ამხანაგო თუმც შენ ცოლშვილს საშინელი ლახვარი ჩაეცი გულში, მაგრამ შენი სიკვდილით დაგვანახვე რამდენი სიყვარული ტრიალებდა შენში ხალხისადმი, რომელსაც თავი შე წირე და ეს გვაძლევს კიდე ღონეს გაუძლოთ ამ აუტანელ ბოდმას. შენი გმირული მოღვაწეობა და შენი მოქმედება დაუვიწყარია ქართველ ხალხის გულში ჩვენო საყვარელო გოგლა. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ჩვენო ძვირფასო ამხანაგო.

ი. ქ—ნი.

## პატარა ფელეტონი

### ყანწები

(ლეგენდა ცისფერ ყანწელებს)

ახალგაზდა ჭაბუკმა ახალგაზდა ასული ნახა და შეიყვარა. ასული ნიავი იყო, ჭაბუკი მზიანი დღე. ჭაბუკმა ასულს ძღვენი მიართვა.

— უცნაურია, უცნაური!—გაიკვირა ასულმა,—ვაჟმა ქალს სანემსე ბალიში მიართვა!

— ბალიში კი არა!..—იწყინა ჭაბუკმა,—ეს ჩემი გულია.

— ატლასისა?!

— დიახ ატლასისა!. აი ეს ზედ მოქარგული ყანწები ჩემი გრძნობების სალაროა. ყანწებში სხვადასხვა ყვავილების ფურცლები, ჩემი სხვადასხვა გრძნობებია.

ასულს სიცილად არ ეყო ჭაბუკის განმარტებანი.

— ჰო, გულის მოყვანილობა კი აქვს ამ საჩუქარსა.—სთქვა ასულმა როცა გული სიცილით მოიოხა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ასულმა ძღვენი ხელში გადაბრუნ-გადმოაბრუნა.

— რა თეთრი კამკამა ატლასია!..—წამოიძახა უნებურად.—ასეთი ქსოვილი ჯერ არსად მინახავს.

ძღვენი საპირისფარეშო მაგიდაზე დადო და ცალ ფეხზე შემოტრიალდა.

— სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირებისო!—მიმართა ბოლოს პათეტიურად ჭაბუკსა.—მაინც მიყვარხარ, ჩემო კარგო, მაინც! წავიდეთ გავიაროთ.

გულიდან გულის ქინძისთავი ამოიღო და ჭაბუკს მორთმეულ ძღვენს გაუბნია. ჭაბუკმა წამოიკვნესა, ნათელ სახეზე ნისლი გადაევლო.

— რა, ჩემო კარგო? გეწყინა რომ ეს ქინძისთავი ამოვიღე გულიდან?—უთხრა ასულმა მიამიტად.—მართალია მიხდება, მაგრამ ამაზე უკეთესი სხვა მაქვს, ის უფრო მიხდება. აი ნახე!

საპირისფარეშო მაგიდის უჯრიდან მოყვითანო ზურმუხტის ქინძისთავი ამოიღო და ის გაიკეთა გულზე.

— აი როგორ მიხდება!..—მშვენიერია არა?

— კატის თვალსა ჰგავს,—წამოილაპარაკა წყნარად ჭაბუკმა.

ასულმა ვერ გაიგონა.

— წამო წავიდეთ!—მიმართა ჭაბუკსა და მკლავი მკლავში გაუყარა.

სასეირნოდ გაემართნენ.

II

თვეებმა გაირბინეს.

— რატომ შენი მიძღვნილი სანემსე ბალიშივით ყვითლდები? შეეკითხა ერთ დღეს ასული ჭაბუკსა.—აი, ნახე რა მოუვიდა შენ ნაჩუქარს... ცუდი ატლასი ყოფილა!.. ჰო, მართლა, აბა შეიხედე სარკეში. შენი შუბლი ღრუბლიან ცასა ჰგავს...

ჭაბუკმა სარკეს თვალი მოარიდა და თავის მოტანილ ძღვენს დახედა: ნახევრად ნემს-ქინძისთავებით იყო მოფენილი, ატლასი მართლა ყვითლად გამოიყურებოდა, ყანწებს ცისფერი დაჰკრავდა.

— ჩემი გული ძალიან არის დაჩხვლეტილი.—სთქვა გულნაკლულად.

— ვინ გაბედა? ვინ გიყო?—შეეკითხა აჩქარებით ასული და ძალზე შეაჯდრია.—გაიღიმე თუ ღმერთი გწამს, გაიღიმე! შენი ნათელი სახე გამოიჩინე! ხაოჭები გაჰფანტე.

— ვინ გაბედა!.. ვინ გიყო!..—გაიმეორა ჭაბუკმა.

— დიახ! დიახ! მითხარი!—უთხრა ასულმა და ჭაბუკის ძღვენს კაბის ზედატანიდან გამოძრობილი ერთი ქინძისთავი კიდევ გაუბნია.

ჭაბუკს სახეზე ერთი ხაზი კიდევ მიემატა.

— ჩემი ყანწები შეცისფერებულა და ჩემს გრძნობებს სევდა მოჰკიდებია.—გაისმა ასულის პასუხად.

ასულმა უცქირა, უცქირა ჭაბუკს და უცბად გადიხარხარა.

— მე მივდივარ!—აუწყა ჭაბუკმა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

III

დილა იყო. ასული სარკის წინ ტრიალებდა და ტანზე კაბას ისინჯავდა.

— გაზეთს ხომ არ ინებებთ, ბატონის ქალო?—შეეკითხა მსახური.

— რატომ, რატომ?—გაეხმაურა ასული და ხელი გაუწოდა.

გაზეთი ჩამოართვა და საპირისფარეშო მაგიდაზე დადო. ჭაბუკის მირთმეულ ძღვენს თვალი დაჰკრა: ქინძისთავებით გავსო.

— როგორ გაყვითლდა ამ ბალიშის ატლასი!—გაიფიქრა გულში,—ყანწები ხომ მთლად ცისფრად შეიღებნენ! უცნაურია, უცნაური, ღმერთმან !..

სარკის წინ ერთი ორჯელ კიდევ შემოტრიალდა და ისე მიუჯდა გაზეთს. სამგლოვიარო განცხადებებს თვალი გადაავლო და გველნაკბენივით ზეზე წამოვარდა: ჭაბუკის სიკვდილი ამოიკითხა. გული ამოუჯდა და ატირდა. წრფელი ცრემლი დაღვარა. ტირილით რომ გული მოიკლა, ჭაბუკის მორთმეულ ძღვენს ხელი წამოავლო და ქინძისთავები დააძრო.

— ეს სახსოვარი, უნდა საფლავში ჩავატანო.—წამოილაპარაკა დაღონებულმა.—მეც დიდხანს არ ვიცოცხლებ,—დაუმატა შეურყეველის რწმენით,—სხვას რათ უნდა ერგოს?

გადაბრუნ-გადმოაბრუნა სახსოვარი და ნახა, რომ პირვანდელი სახე მიეღო: ატლასი თოვლივით კამკამებდა, ყანწებს კიდევ ცისფერი გადასვლოდა. ემთხვია, დადო მოწიწებით მაგიდაზე და შავების სასყიდლად წავიდა.

IV

დაკრძალვის დღეს ასული ძაძით მოსილი მივიდა ჭაბუკის გვამთან და სახსოვარი დაუბრუნა.

— წაიღე!—წაიჩურჩულა მწუხარებით,—შენ აღარა ხარ, შენი სახსოვარი რადად მინდა? მეც მალე წამოვალ შენთან.

ჭაბუკი მიწას მიაბარეს და სასაფლაოს ერთი ამობორცვილი ადგილი კიდევ მიემატა.

ერთი კვირის უკან ასული მოვიდა სასაფლაოზე და ჭაბუკის საფლავი რომ ნახა, თან მოყოლილი, ყვავილები ხელიდან გაუცვივდა: სხვა ყვავილები დახვდა—მიწიდან თავისთავად ამოსულიყვნენ. ყვავილებს ფინჯანი ყანწების მოყვანილობისა ჰქონდათ.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!—წამოიძახა განცვიფრებულმა ასულმა,—ეს ხომ ის ყანწებია ატლასის ბალიშზე რომ იყო ამოქარგული! აი შიგ ყვავილების ფურცლებიც. ფერიც პირვანდელი აქვს: აი... როცა გადმომცა ამშინდელი.

მოაგონდა დრო, როცა ჭაბუკმა ძღვენი მიართვა და თვალთაგან ნაკადები გადმოსქდა. ყვავილებმა ალერსიანად თავი დაუქნიეს. ასული საფლავს ემთხვია და შინ დაბრუნდა.

V

ერთი წლის უკან სასაფლაოზე საზაფხულო ტანისამოსში გამოწყობილი ერთი ახალგაზდა ქალი ერთ ახალგაზდა მოყმესთან დასეირნობდა. ჭაბუკის სამარესთან მოუხდათ გავლა.

— ეს რა უცნაური რამ არის!—წამოიძახა ქალის თანამგზავრმა, როცა ჭაბუკის საფლავზე ამოსული ყვავილები დაინახა.

მოყმე შეჩერდა: ბოტანიკი იყო და დაინტერესდა.

ქალმაც გადაავლო საფლავს თვალი და შეკრთა: ჩვენი ნაცნობი ასული იყო და ჭაბუკის საფლავი იცნო. კარგახანია დაჰვიწყებოდა: დღეს შემთხვევით წააწყდა.

— ეს ხომ ის არის.—სთქვა ჩუმის ხმით,—იმის საფლავია... ყანწები ისევ ცისფრად შეღებილან.

თანამგზავრს ხელი [illegible]

— წავიდეთ, წავიდეთ! აქ არ მომწონს!—მიმართა ხმა მაღლივ და ფეხი წასასვლელად გადადგა.

მაგრამ ბოტანიკი არ დაძრულა: ახალი ჯურის მცენარემ ძალიან გაიტაცა და ნიმუშის მოწყვეტას ლამობდა.

ყვავილებმა ჩურჩული ასტეხეს.

— ჩვენი პატრონის გული ისევ ნემს-ქინძისთავებით აივსო და ყანწებიც ისევ გაგვიცისფერდნენ.—გაიგონა აშკარად ასულმა და მუხლები ჩაეკეცა.

ბოტანიკმა ქალი სასაფლაოდან ხელით გაიყვანა...

ინ—ბანი.

## ამიერ-კავკასიის სეიმი

### თებერვლის 22 სხდომა

სხდომას ხსნის კარლო ჩხეიძე.

განსახილველია საკითხი ამიერ-კავკასიის დამოკიდებულების შესახებ. სხდომაზე დაესწრნენ ყველა დეპუტატები, ტრაპიზონში გამგზავრებულთა გარდა.

დღის წესრიგი დამტკიცებულია.

### სეიმის მდივნის არჩევა

კ. ჩხეიძე (თავმჯდ.). სეიმს ასარჩევი ჰყავს მდივანი. უმორჩილესად გთხოვთ დაასახელოთ კანდიდატები.

სიტყვას თხოულობს ნოე რამიშვილი. **ნ. რამიშვილი.** მენშევიკების სახელით კანდიდატად ვასახელებ დეპუტატ ონიაშვილს.

მენშევიკების წინააღმდეგ მაჰმადიანები (მუსავატები და სოც. ბლოკი) ასახელებენ კანტემიროვს.

კანდიდატებს კენჭი ეყარათ. მენშევიკების კანდიდატმა მიიღო 13 თეთრი 21 შავი, კანტემიროვმა კი თეთრი 18, შავი 14.

**ნ. რამიშვილი.** ვაცხადებ მენშევიკების ფრაქციის სახელით, რომ ვინაიდან ჩვენი კანდიდატი მდივნის ალაგზე სეიმის მიერ დამტკიცებულ არ იქმნა, ჩვენ, მენშევიკები, მდივნის ამხანაგის არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ.

მდივნის ამხანაგებად იქმნენ არჩეულნი სეიდოვი (მუსავატი), ავეტისიანი (დაშნ.).

სეიმი გადადის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხზე.

### ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა.

**დაშნაკცაკანების განცხადება.**

**ვრაციანი (დაშნაკ.).** დაშნაკცაკანის ფრაქციის სახელით მოვითხოვ, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი დღეს არ გაირჩეს. ეს საკითხი გადაეცეს ფრაქციების საგანგებო კომისიებს.

**ნ. ჟორდანია.** საკითხის გადადება შეუძლებელია და მოვითხოვ მის გარჩევას.

სეიმი ამ განცხადებას ღებულობს.

### რუსების ეროვნულ საბჭოს განცხადება

სეიმი ისმენს რუსების ეროვნულ საბჭოს განცხადებას. განცხადება შემდეგ რეზოლიუციით თავდება:

„ამიერ-კავკასიის რუსული ეროვნული საბჭო არ სცნობს სახალხო კომისრების საბჭოს და ამასთანავე არ სცნობს იმ ზავს, რომელიც სახალხო კომისრების საბჭომ შეჰკრა. ეროვნული საბჭოს ბიურო ვერ შეურიგდება, რომ ოსმალეთს გადაეცეს ბათომი, ყარსი და არდაგანი. ბიურო ეთანხმება სეიმს ზავის პირობებში, მაგრამ ამასთანავე ბიურო ფიქრობს, რომ ამიერ-კავკასიის მდგომარეობა არ მოითხოვს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა უმიზნო და უნიადაგო იქნება, ამასთანავე ლახვარს ჩასცემს ამიერ-კავკასიის რუსულ ნაწილს და დაღუპავს ამიერ-კავკასიის დემოკრატიას. ამიტომ ეროვნულ საბჭოს ბიურო თხოულობს, რომ ამიერ-კავკასია დამოუკიდებლად არ გამოცხადდეს".

### მენშევიკების განცხადება

**ნ. ჟორდანია.** ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, დღეს ჩვენ ვმსჯელობთ პრინციპიალურად, ამიტომ ფინანსიური და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ დღეს ჩვენ მსჯელობა არ გვექნება. დამოუკიდებლობის საკითხის გადაჭრაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ ამიერ-კავკასიის მდგომარეობით. დღეს ჩვენ წინ სდგას საბედისწერო საკითხი, როგორ ვიხსნათ ჩვენი მხარე ოსმალეთის უღლისაგან და როგორ შევინარჩუნოთ ამიერ-კავკასიის მთლიანობა.

თქვენ იცით თუ რა დიდი მსხვერპლით იყიდეს ბოლშევიკებმა ის ზავი, რომელიც ჩვენთვის სამარცხვინოა. იბადება კითხვა, როგორ აიცილოს ამიერ-კავკასიამ ეს სარცხვილი?!

გზა მხოლოდ ერთია—გაერთიანება ამიერ-კავკასიის ერებისა. ამიტომ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთს გარემოებას. თქვენ იცით, რომ ამიერ-კავკასიის მცხოვრებლების დიდი ნაწილი მაჰმადიანებია. ამიტომ ჩვენ უმაჰმადიანებოთ ვერც ვჩხუბებთ და ვერც ზავს შევკრავთ.

ჩვენ ვიზიარებდით წინად რუსეთის

---

გადოების მიერ მართველობისა. ამ იდეის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თანამედროვე ეკონომიური და ფინანსიური პირობები ხელს უწყობენ სახელმწიფო ხაზინას ან მუნიციპალიტეტებს აიღონ თავის მხრებზედ მძიმე და საპასუხისმგებლო ტვირთი ტეხნიკურ და სამრეწველო ცხოვრების გაძღოლისა.

ამიტომაც მხოლოდ ამ მხრით უნდა გაისინჯოს, ასე ვთქვათ, ეხლა „მოდაში შემოსული" ტეხნიკურ და მრეწველურ დაწესებულებათა გასაზოგადოებრივობის იდეა.

ცხადია, რომ ეკონომიური და ფინანსიური პირობები მთელს რუსეთში და მასთან ამიერ-კავკასიაში მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. მთელი ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკა მთავრობისა გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ ის დაბეჭდავს კარგს და ცუდს ქაღალდს, რათა სამყოფი რიცხვი ბონებისა გამოუშვას ხმარებაში. ამის გარდა მთელი ერი, რომელიც თავის შემოქმედებითი მუშაობით ჰქმნიდა ეკონომიურ კეთილდღეობას—ეხლა მხოლოდ იმით არის გატაცებული, რომ როგორმე შეამციროს სამუშაო დრო და რაც შეიძლება მეტი ქაღალდის ფული მიიღოს. ის ჭეშმარიტება, რომ ერის კეთილდღეობა მთელი ერის მუშაობით შენდება, მივიწყებულია. თითქოს არავინ ამჩნევს იმას, რომ ხელფასის ან ჯამაგირის მომატება, თუ მასთან პროპორციულად შემოქმედება არ იზრდება—უბრალო თავის მოტყუილებას წარმოადგენს. ვერც ჯამაგირი და ვერც ხელფასი ვერ დაეწევა ამ შემთხვევაში ცხოვრების სიძვირეს, ისე როგორც მატარებლის უკანა ვაგონი ვერ დაეწევა ორთქლმავალს.

ერი ეხლა აღარ ჰქმნის სიმდიდრეს—ის მხოლოდ ხარჯავს იმ ნამცეცებს, რომელიც დარჩენია ძველი დროიდან. ამაზე დაბლა განა შესაძლებელია დაეცეს ერის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა?

დემოკრატიულ ლოზუნგების შემდგენი, რომლითაც რუსეთს უნდოდა მთელი კაცობრიობის კაპიტალისტების განადგურება, იმით გათავდა, რომ ამ ლოზუნგების მატარებლებმა ხელი მოაწერეს უმაგალითო იმპერიალისტურ ზავს. უანექსიო და უკონტრიბუციო ჯამბაზობა გათავდა რუსეთისათვის 40 მილიონ ქვეშევრდომთა დაკარგვით და აღურიცხველი კონტრიბუციით. ამავე მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენც ამიერ-კავკასიაში, საქართველოში. თუ თვითგამორკვევის და დამოუკიდებლობის იდეას შეუძლია გარეგნულად გვიხსნას ჩვენ პოლიტიკურ მონობისაგან—ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა ჩვენი რუსეთზე უარესი თუ არა, უკეთესი მაინც არ იქნება... ან ვეცით, ავსცდებით ჩვენ ანექსიას თუ არა, კონტრიბუციას კი ყოველ შემთხვევაში ვერ ავსცდებით, თუმცა, შესაძლებელია, ეს კონტრიბუცია გარეგნულად შეუმჩნეველი იქნება.

თუ ყოველივე ეს გავითვალისწინეთ და ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის მხრივ გავშინჯეთ მრეწველობის გასაზოგადოებრივობის იდეა, დავინახავთ რომ ეს იდეა ახლა კი არა, შორეულ მომავალშიაც კი ჩვენთვის მხოლოდ სიზმრად დარჩება.

ჩვენ აქ არ შევეხებით ამ იდეას არსებითად, თუმცა მრეწველურ დაწესებულებათა გასაზოგადოებრივობის იდეა შეიცავს ისეთს უარყოფითი მხარეებს, რომელნიც კარგ ეკონომიურ პირობებშიდაც აბრკოლებენ მას. ჩვენ ეხლა უმთავრესად გვაინტერესებს მხოლოდ პრაქტიკული მხარე ამ საკითხისა.

მთელი იმედი ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობის გაუმჯობესებისა დამყარებულია მხოლოდ იმაზე, რომ გამოვიყენოთ აღურიცხველი ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენი ქვეყნისა. მთავრობისაგან არის დამოკიდებული, თუ რამდენად დააჩქარებს ის ამ ერთად-ერთ ხსნას და თუ რამდენად შეუწყობს ხელს მრეწველობის გადვიძება-აღორძინებას.

ჯერ-ჯერობით ამ მხრივ არავითარი ნაბიჯი არ გადადგმულა... პირიქით, ბევრი რაც გაკეთდა, ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, რაც გამოცხადდა—ამ მიზნისათვის საზარალო უფრო იყო, ვიდრე სარგებელი... მაგრამ ამ ანარქიისა და უწესოების ხანაში ხომ მაინც ვერაფერი გაკეთდებოდა მრეწველობის აღორძინების მხრივ..

რა გზა სჭირია ჩვენ მთავრობას ამ საკითხში? პირველ ყოვლისა მთელი მისი ენერგია უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ დაამყაროს წესიერება, სამართალი, ქონების და პიროვნების ხელშეუხებლობა, უამისოდაც შეუძლებელია შემოქმედებითი მუშაობა. გარდა ამისა, საჭიროა მთავრობამ იქონიოს მტკიცე ეკონომიური და მრეწველური პოლიტიკა და ამ პოლიტიკაში არ შეუშინდეს გავრცელებულ ლოზუნგების უარყოფას. მან უნდა შეიგნოს ის აქსიომა, რომელიც კარგად ესმოდა საფრანგეთს 1871 წლის შემდეგ—რომ დატაკი მთავრობა და ხაზინა საკუთარის ხელით ვერ აწარმოებს რთულ მრეწველობას და საზოგადოთ სახალხო მეურნეობას. მან მომქმედი როლი უნდა დაუთმოს კერძო ინიციატივას და მოქმედება ამ საკითხში უნდა განსაზღვროს მხოლოდ ზედამხედველობით და თვალის დევნით, რათა ერის სიმდიდრე მოხმარებულ იქმნეს ერის სასარგებლოდ და არ დაირღვეს მთავრობისაგან შემუშავებული ნორმები. მთავრობა არ უნდა შეუშინდეს უცხო კაპიტალის შემოჭრას ჩვენს ქვეყანაში, რადგან ეს შემოჭრა ახლო მომავალში აუცილებელია. მხოლოდ მან ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა უცხო კაპიტალის მოქმედება რაც შეიძლება მეტს ნაყოფს და სარგებლობას აძლევდეს ჩვენ მხარეს.

ერთი სიტყვით, ჩვენი მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა რამდენიმე ათი წლის განმავლობაში ძალაუნებრივ უნდა იქნეს კონცესიების რაციონალურ პირობებით გაცემა და ამისათვის საჭირო ნორმების და კანონების შემუშავება.

რაც მთავრობის შესახებ არის ნათქვამი, კიდევ უფრო მეტის ძალით და სიმართლით ითქმის მუნიციპალიტეტების ანუ ქალაქების თვითმართველობის შესახებ. რაც არ შესწევს ჩვენს მთავრობას, მით უფრო არ შესწევს ჩვენს დატაკ და მოუწყობელ ქალაქებს და სრულებით ნორჩს და გამოუცდელს თვითმართველობის ორგანოებს და თუ ისინი მუნიციპალიზაციის ეპიდემიას დაემონ ჩილნენ, მაშინ ჩვენი ქალაქების კეთილდღეობა ვერ გამოკეთდება. მუნიციპალიზაციას ისევე, როგორც ნაციონალიზაციას, ესაჭიროება არა მარტო ჩამორთმევის უფლება, არამედ საშუალებაც და მასთან მართველობის შეძლებაც. დიდი გამოცდილება და თანდათანობა არის ამისათვის საჭირო. თუ უკანასკნელ წლებში საფრანგეთი ცდილობდა სახელმწიფოს კუთვნილებად გაეხადა მთელი თავისი რკინის გზები,—არ უნდა გვავიწყდებოდეს ისიც, რომ იმავე საფრანგეთმა 1871 წ. შემდეგ მთელი ახალი რკინის გზების ქსელის აშენება კერძო პირებს მიანდო ძლიერ შეღავათიან პირობებით, რადგან თავის-თავს მაშინ დატაკად და უძლურად გრძნობდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ საშინელ ომის შემდეგ საეჭვოა რომ საფრანგეთმა კვლავ განაგრძოს რკინის გზების ნაციონალიზაციის პოლიტიკა.

აქვს-კი მეტი ძალა ან შეძლება ჩვენს მთავრობას და მუნიციპალიტეტებს?

საქართველო ხელ-უხლებელ საუნჯეს წარმოადგენს. მთელი ჩვენი მომავალი იმაზედ არის დამყარებული, რომ რაც შეიძლება მალე დამუშავდეს ეს სიმდიდრე. უნდა აშენდეს მრავალი ათასი ვერსტი რკინის გზებისა, გაკეთდეს აურაცხელი რიცხვი ცხენის ძალა ელექტრიული სადგურებისა, დაიხვრიტოს მადაროებით მთელი ჩვენი მთა-გორაკები, დაარსდეს მრავალი ქარხნები: რკინეულობისა, მაუდისა, ქაღალდისა, შუშისა და სხვა და სხვა. ვის შესწევს ამის ძალა გარდა კერძო კაპიტალისა? ვინ არის ისეთი თვალთმაქცი, რომ ყოველივე ეს აამოძრაოს „უბურჟუოთ და უკაპიტალოთ"?

ნუთუ ერის მომავალი და კეთილდღეობა ვინმეს, თუნდა უკიდურეს სოციალისტსაც, შეუძლია შესწიროს ეხლანდელ მდგომარეობაში მოუხმარებელსა და უსაფუძვლო იდეას.

გაიხსენეთ ციცერონის სიტყვები: „Consules videant ne quid respublica detrimeuti capsat".

ინჟ. ბ. ჭიჭინაძე.

ორიენტაციას, მაგრამ შესაძლებელია, რომ ამიერ-კავკასიის სხვა ერი სხვა ორიენტაციას იზიარებდა. ყველა ეროვნულ ორიენტაციას თავისი უფლება აქვს და ჩვენ ხელი არ უნდა შევუშალოთ. ჩვენ გვწამს რუსეთის ორიენტაცია, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ მაჰმადიანებს ოსმალეთის ორიენტაცია სწამთ. თუ ეს ასე იქნა, მაშინ ჩვენში თანხმობა და ერთობა არ იქნება. საჭიროა ყველამ თავისი თავი თავისუფლად იგრძნოს.

ჩემს წინ რომ დაისვას ასეთი კითხვა—რუსეთი თუ ოსმალეთი, მაშინ მე რუსეთს ვამჯობინებდი, მაგრამ თუ ჩემს წინ იქნება კითხვა—დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია თუ ოსმალეთი, მაშინ მე ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობაზე შევჩერდებოდი. ჩვენს წინ კი დღეს შემდეგი დილემა სდგას—ოსმალების შემოსევა თუ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებლობის მეტი გზა არ არის, ვინაიდგან ჩვენ დაგვივიწყეს და გაგვთიშეს და ჩვენ ჩვენი ძალებით უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყანა.

თუ ეს ასეა, მაშინ ყველა ჩვენგანი თამამად იტყვის: „გაუმარჯოს დამოუკიდებლობას“.

როგორ მოხდა, რომ ჩვენ უკიდურესი ცენტრალისტები დღეს მომხრე ვართ სეპარატიზმის. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე პოლიტიკური ფორმა დამოკიდებულია რეალ ძალთა განწყობილებაზე. როგორც რეალ ძალთა განწყობილება იცვლება, ისე პოლიტიკური ფორმაც იცვლის სახეს. დღეს ჩვენ წინ სდგას საკითხი—მონობა თუ დამოუკიდებლობა. ჩვენ დამოუკიდებლობას ვარჩევთ. მაგრამ ჩვენს წინ რომ დასმულიყო საკითხი, დამოუკიდებლობა თუ ფედერაცია, მაშინ ჩვენ ფედერაციის მომხრე ვიქნებოდით. ჩვენ ვიცით, რომ თუ ოსმალები ბათომში ჩამოვლენ, არც თბილისს დაივიწყებენ, ვინაიდან ჩვენ ვერ შევაჩერებთ მაჰმადიანთა სტიქიურ ტალღას. ჩვენ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიის მაჰმადიანებისთვის არ არის ხელსაყრელი ოსმალეთის უღელი, მაგრამ რომ ძირშივე ჩაკლულ იქნას ყოველივე მიდრეკილება, ჩვენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა უნდა ვაღიაროთ. ამ იდეას ედევნება შეურიგებელი ამიერ-კავკასიის მაჰმადიანობა, ვინაიდან მისთვის დამოუკიდებლობა უმჯობესია, ვინემ ოსმალეთის უღელ ქვეშ მონობა.

ჩვენ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი იქნება საერთაშორისო კონფერენციაზე. ჩვენთვის საჭიროა აზრი სხვა სახელმწიფოებისა. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა ხელს არ შეუწყობს ეროვნული ბრძოლის გაღვივებას ჩვენში.

ჩვენ ვიცით, რომ ქართველები და მაჰმადიანები კეთილ-განწყობილებაში ცხოვრობენ. ვფიქრობთ, რომ ქართველები და სომხებიც კეთილად იცხოვრებენ. მაგრამ როგორ შევუთანხმოთ ინტერესები თათრებისა და სომხების. რაც უნდა მოხდეს სომეხ თათართა შეთანხმება არ მოიპოვება. თუ იმის გარანტია იქნება, რომ ჩვენში საერთაშორისო ცეცხლი არ იფეთქებს, დამოუკიდებლობის გამოცხადება შესაძლებელი იქნება.

## „მუსავატ“-ელების განცხადება

**ხან-ხოის.** ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი დაიბადა მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა ჩვენი ქვეყანა და ჩვენ გაგვრიყეს. რუსეთის ერების ისტორიიდან ვიცით, რომ მრავალი ერი დაადგა ჩვენ გზას, მხოლოდ ერთი ამიერ-კავკასია ეძღვნებოდა რუსეთის მთლიანობას, მაგრამ დღეს, როდესაც რუსეთიდან რეაქციის მეტს არაფერს არ ველით დამოუკიდებლობის საკითხი ჩვენი არსებობის საკითხად იქცა. ამ საკითხს ჩვენ მეტის მეტად ფრთხილად ვეპყრობოდით, მაგრამ როდესაც ოსმალეთთან დამოუკიდებლად ვიწყებთ საზავო მოლაპარაკებას, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადდეს. ვფიქრობთ, რა, რომ სხვა ერები სოლიდარულად იცხოვრებენ, ჩვენ ვღიარებთ ჩვენს სოლიდარობას. ამიერ-კავკასიის მთლიანობის დაცვა საგანგებით შედის ჩვენს პროგრამაში.

როდესაც ლაპარაკობენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობაზე, მაშინ მე მხედველობაში ვღებულობ თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირს.

## კადეტების განცხადება

**ხემიონოვი.** საკმაო არ არის იძულებითი პირობების ძალზე დახვევა და ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. თუ დღეს დამოუკიდებლობის გამოცხადება ადვილია, შემდეგ მისი უარის ყოფა ძნელი იქნება.

**გობეჩია.** ს. რ. ფრაქციის სახელით პრინციპიალურად იზიარებს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას.

**კანტიმეროვი** (მაჰმადიანთა სოც. ბლ.) იზიარებს დამოუკიდებლობას.

## რეზოლუცია.

**ნ. რამიშვილმა** მენშევიკების სახელით შეიტანა რეზოლუცია, რომელიც უკვე დაიბეჭდა ჩვენ გაზეთის გუშინდელ ნომერში.

კენჭს ყრით რეზოლუცია გავიდა.

კენჭის ყრაში „მუსავატელებმა“ მონაწილეობა არ მიიღეს.

## კომისიის არჩევა.

შემდეგ არჩეულ იქმნა კომისია—მენშევიკებიდან ნ. რამიშვილი, მ. არსენ ძე. დაშნაკცაკანებიდან კარჩიკიანი, ტიგრანიანი. გუმმეტიდან ახუნდოვი. ს. რევოლუციონერებიდან ი. გობეჩია. კადეტებიდან სემიონოვი. „რუსეთის მაჰმადიანებისაგან“ ხანხოევი. სოციალისტურ ბლოკიდან პეპინოვი.

## თებერვლის 24 სხდომა

24 სხდომაზე ფრაქციათა შეთანხმებით გადაწყდა, რომ ამიერ-კავკასიის კაბინეთის—სამინისტროს შედგენა მიენდოს სეიმის პრეზიდიუმის მიერ ნდობით აღჭურვილ პირს.

ამას გარდა, თავმჯდომარემ სხდომას განუცხადა, რომ ამიერ-კავკასიის სამშვიდობო დელეგაცია უკვე მშვიდობით ჩავიდა ტრაპიზონში.

სეიმი ამით დაიხურა დღის 3 საათზე.

შემდეგი სხდომა-მიტინგი დანიშნულია რევოლუციის წლის თავზე 27 თებერვალს. ამ დღეს რევოლუციის შესახებ იქნება ლაპარაკი.

მ. ა—ელი.

## მომენტის შესაფერ მოქმედებისაკენ!

„საქართველოს დღე გადაუწყვეტია თვისი ბედი და უბედობა“.

ვინც ჩაკვირვებია ჩვენ წარსულს, ვისაც გადუფურცლავს ჩვენი ისტორია,—მას უეჭველად წარმოდგენილი ექნება სულისა და გულის მომხიბლავი სურათი ქართველი ერის ტანჯვა-წამებისა საუკუნოების განმავლობაში უთანასწორო ბრძოლისაგან წარმოშობილი...

თვალწინ გვიდგია ჩვენი წარსულის შავი დღეები... მაკედონელები, რომაელები, არაბები, თურქები, სპარსელები, ოსმალები, აზოები, პომპეები, მურვან ყრუები, ლანგთემურები, შაჰაბასები, აღამამადხანები,—აი ის ხალხნი და პირნი, რომლებიც ერთი მეორის შემდეგ ნამდვილ ღვთის რისხვად ევლინებოდნენ ჩვენ ქვეყანას და რომლებსაც არა ერთხელ და ორხელ დაუყენებიათ ჩვენი ერისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი.

მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ არასდეს არ დასმულა ეს საკითხი ჩვენი ერის წინაშე ისე მწვავედ, არასდეს არ მიუღწევია ის მთელი თავისი სიმძაფრე-სიგანით, ისე, როგორც დღეს.

ბევრჯერ მიუყვანია უკიდურეს ისტორიულ ქარტეხილს ჩვენი ხალხი შავი ჯურღმულის პირად, ბევრჯერ და ბევრჯერ დაუსვამს ცვალებად ცხოვრებას მისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი, მაგრამ, საბედნიეროდ, სურვილი სიცოცხლის შენარჩუნებისა ყოველთვის თვალსაჩინო ყოფილა ამ ერის ცხოვრებაში... საგანი, რისთვისაც ეს ერთი მუჭა ხალხი ებრძოდა ყოველგვარ დაბრკოლებებს, რისთვისაც ის ვაჟკაცურად უმკლავდებოდა კარზე მომდგარ უბედურებას—ყოველთვის თვალწინ ხატად და ჯვარად ჰქონია ქართველ ერს და ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ყოფნა-არყოფნის საკითხიც ამ ერის სასარგებლოდ იჭრებოდა-თავდებოდა... ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ალღოს ხომ თვით უდიდეს კრიტიკულ წუთებშიაც წამოუყვანია თავი ქართველების ცხოვრებაში და მოუწოდებია ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი ხელი-ხელ ჩაკიდებულ მოქმედებისაკენ...

სად არის დღეს ეს სიმპატიური სურვილი... ეს დიდი საგანი.. ეს კეთილშობილური ალღო თავისი თავის დაცვის, თვისი ფიზიკური არსებობის შენარჩუნების?

ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი წამოაყენა დღევანდელმა არაჩვეულებრივმა ხანამ. ჩვენ კი, თითქოს ეს საბედისწერო კითხვა ჩვენთვის არ არსებობდეს, რაღაც ზურახში ვიმყოფებით; ვერ შეგვიჩნევია კარზედ მომდგარი უბედურება. მოლეკულ გზაზედ ვდგავართ, შავი ჯურღმულისაკენ მივექანებით და ჩვენ კი მომენტის შეუფერებელ უზრუნველობას, სამარცხვინო კინკლაობას მივცემივართ.

ისევ ბოლშევიკი და მენშევიკი, ისევ ესერი და ესდეკი; ისევ მათ შორის აყალ-მაყალი და ლანძღვა-გინება. ისევ გაბატონების და ფართოდ მოკალათების სურვილით გამჟღავნებულნი; ისევ ისევ მღვრიე წყალში თევზის დაჭერით დაინტერესებულნი. ისევ დოგმები, ილუზიები და უტოპიები... ისევ სიტყვა და არა საქმე... ისევ ღალატი, ისევ იუდა და ფარისეველი. ისევ სიბეცე, მომენტის შეუგნებლობა... და მერე ყველა ეს იმ დროს, როცა ჩვენი ფიზიკურ არსებობას საფრთხე მოელის, საფრთხე, რომლის მსგავსი ჩვენს ისტორიას არ ახსოვს. ყველგან არევ-დარევა... ყველგან ჩვენი თავმოყვარეობის დამამცირებელი სიტყვა და მოქმედება.

პარტიულ კინკლაობას, ჯგუფურობას, დოგმებით და თეორიებით გატაცებას, ვარსკვლავებზე სიარულს, სინამდვილის წინაშე თვალებზე ხელის აფარებას,—მშვიდობიან დროს კიდევ შეურიგდება კაცი, მაგრამ დღეს ამ განკითხვის დღეს—ამათ მსგავს რამეს არ უნდა ჰქონდეს ადგილი ერის ცხოვრებაში, თუ ამ ერს შერჩენია კიდევ ალღო თავისი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისა..

დღეს, როცა ცხოვრებამ ჩვენი ყოფნა-არ ყოფნის საკითხი წამოუყენებია, დღეს, როცა ცხოვრება მთლიანად გზით საშიშ ჯურღმულისაკენ მიგვაქანებს, დიახ ამ კრიტიკულ წუთში, საჭიროა ჩვენში მოქმედ ყველა პარტიების ჯგუფების, ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებთა შეკავშირება და ერთი მიზნით [illegible]. ეს მიზანი კი ჩემის ფიქრით ამ ჟამად მხოლოდ ერთია—ფიზიკური არსებობის შენარჩუნება, საქართველოს მთლიანობის დაცვა. ბრმა, ან გადაგვარების გზაზედ უნდა იდგეს ის ქართველი, ვინც ამას ვერ ხედავს; ოცნებით უნდა იყოს გაბრუებული ის პარტია, ის ჯგუფი, რომელიც ამ მიზანს გვერდს აუვლის ამ არაჩვეულებრივ წუთში.

ჩვენის ერის ყოფნა არყოფნის საკითხი დაისვა... წუთი სერიოზულია... „საქართველოს დღეს გადაუწყვეტია თვისი ბედი და უბედობა“—ამ დამაფიქრებელ სიტყვებს უნდა იგონებდეს დიდი მგოსნის აჩრდილთან ერთად ქართველი ერი...

არასოდეს არ ყოფილა ისე საჭირო ჩვენი ერის გაერთიანებული და ერთსულოვანი მოქმედება ეროვნულ მიწა-წყლის დაცვისთვის და ფიზიკურ არსებობის შენარჩუნებისთვის როგორც დღეს.

გორგი.

## კორესპონდენცია

### ახალციხიდან

თებერვლის 15-ში, ღამის სისწრაფით მოედო ხმა ქალაქს, რომ სოფელ ღრელს თათრები დაესხნენ და ერთიანად აიკლეს. მალე ქალაქში გამოჩნდნენ ღრელიდან გამოქცეული რამოდენიმე ქალი და ბავშვი. აკლება-აწიოკებაზე ყველა დარწმუნდა სიმართლეში, როდესაც გამოქცეულები დაიხვეს მე-9-ე როტა ყველაზე ადრე გამოქცეულიყო სომხების ხაზე, არიქაო!.. შემდეგ მე-10-ე როტაც დაძრულა. სად მიხვედით და ვისი ნებით, უთქვამთ მათ უფროსებს, რომელნიც შეხვედრიან ქუჩაში, არაფერი ამბავი არ იქნება, პურები იქნება, დაბრუნდით!.. არ გაუგონიათ ღალატულ ჯარის კაცებს. თურმე სომხებს სდომებიათ არსენალის გაძარცვა, როდესაც წავიდოდნენ ყველა როტები. ეს მათი განზრახვა მალე გაუგიათ ჯარის კაცებს და ბევრს მათგანს ხელი აუღია ღრელში წასვლაზე და არსენალის დასაცავად დარჩენილან, რომელთაც ტყვიის მფრქვეველებიც მიუდგმიათ არსენალისაკენ და მოუმზადებიათ, თუ რომ დაეცემოდა ვინმე არსენალს. აწყურიდან მაჰმადიანთა შტაბიდან შეუტყობინებიათ მავთულით ახალციხის ადმინისტრაციისთვის, რომ, როგორც გავიგეთ, ყაჩაღთა ბრბო ღრელს დაესხმის და მიიღეთ მათ წინააღმდეგ ზომები; თვითონაც თავის მხრივ რამოდენიმე ცხენოსანი გამოუგზავნიათ შეიარაღებული მაჰმადიანები ყაჩაღთა ასალაგმავად. ჯარი რომ ცა მისულიყო ღრელში გარშემორტყმული ყაჩაღები მაშინათვე გაქცეულიყვნენ. მათ არავითარი ზარალი არ მიუყენებიათ. ბევრი გავრცელდა ხმა ს. ღრელს დაეცნენ, მართალია, ცოტა რამ გადაწვეს ყაჩაღებმა, მაგრამ მათი ჩანადენი გავრცელებულ საშინელ ხმებს სრულიად არ ეთანხმება. ყველამ კარგად ვიცით, რომ მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა შორის სრული შეთანხმებული მშვიდობიანობა უკვე ჩამოვარდა ერთი კვირის წინეთ, მარა ამას ვერ ეგუებიან მოწინააღმდეგენი და განგებ ავრცელებენ ამაღელვებელ ჭორებს, როგორმე მოშალონ შეთანხმებულთა ძმური განწყობილობა რომ შეიტაკონ ერთმანეთში და თვითონ კი სხვანაირად ისარგებლონ. ძირს პროვოკატორი ნაძირალები!

მოკეთე.

## „ქუთაისის თეატრის გარშემო“

(იხ. „საქართველო“ № 42.)

ამით დასრულდა ეპოპეია ქართველ მსახიობთა კავშირის საგმირო საქციელისა და 19 სავე ლამით გამგეობა (უკანასკნელი დეპეშა სხდომის დროს მიიღეთ თვით წამავალთა ხელით) იძულებული შეიქნა თავისი პრინციპის და სამართლიანობის დაცვის გულისათვის დარჩენილიყო თავის მართებულ პოზიციაზე ტ დასის 9 წევრი ბათუის გზა დაელოცა, რადგანაც როგორც ხედავს ყოველი მიუდგომელი მოაზროვნე მათთან ვერავითარმა ლოღიკამ და საბუთმა ვერ გაჭრა.

ასეთი იყო საქმის ნამდვილი ვითარება და მაშასადამე არავის და ყველაზე ნაკლებ ბ. შალვა დადიანს ქონდა და აქვს უფლება სწეროს საჯაროდ ის, რაც 6 იანვრის „საქართველოს“ მეხუთე ნომერში სწერია.

ამის ცხადსაყოფად საჭიროა მუხლობრივად დავარჩიოთ ბ. დადიანის აზრები. პირველი. ბ. დადიანი ბრძანებს: კავშირის საბჭომ გამოსცა ერთგვარი მოწოდება, სადაც ნათლად და მკაფიოდ იყო გამოცხადებული თუ რა სამსახური სურს კავშირს, რა მოთხოვნილებებით გამოდის ცხოვრების ასპარეზზე და რა უფლებებიც სურს დაიცვას. სხვათა შორის მოხსენებული იყო, რომ ვინც კი კავშირის საბჭოსთან, ან მის წევრთან დაიჭერდა საქმეს, კავშირის სასარგებლოდ უნდა ეხადნა ერთგვარი პროცენტი. ეს მოწოდება დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთებში და მაშასადამე იცოდა ქუთ. დრ. საზოგ. გამგეობამაც“-ო.

ამაზე ჩვენი პასუხი. მოწოდება ჩვენ წაკითხული გვქონდა, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვეფიქრია და არც ეხლა გვგონია, ვინაიდან ეს არსად არ არის მიღებული, რომ მოწოდებაში გამოთქმული სურვილები და განცხადებანი რომელიმე იურიდიულ პიროვნებისათვის ყოფილიყოს სავალდებულო, მით უფრო მაშინ, როდესაც ეს მოწოდება თვით აქტიორებს არ ახსოვთ საჭიროების დროს. გარდა ამისა ერთი უცნაურობა არის აქ. დადიანი და საბჭო გვაძალებს ჩვენ გულთმისნობას და თვითონ ივიწყებს ელემენტალურ კანონებს საზოგადოებრივი ყოველ დღიური ცხოვრებისას. ხსენებულ მოწოდებაში ნათქვამია: „ამასთან ვე საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ (იგულისხმეთ ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი) დავაწესეთ ერთგვარი ბეგარა ყოველ ქართულ წარმოდგენაზე, რომელსაც კი თვით კავშირი გამართავს, ან კავშირის წევრთა ჯგუფი, ან კავშირის კერძო წევრი. ეს ბეგარა გადახდებათ აგრეთვე იმ წარმოდგენებს, რომელშიაც თუნდა ერთიც კავშირის წევრი მიიღებს მონაწილეობას“. („სახ. ფურც.“ № 875) თქვენს თავსა და თქვენს წევრებს რასაც უზამთ ეს რასაკვირველია თქვენი საქმეა, მაგრამ რაც შეეხება სხვის საქმეს, სადაც თქვენი საპროფესიო კავშირის წევრი მსახურობს მხოლოდ, და არავითარ პასუხს საქმისათვის არ აგებს, ნურას უკაცრავათ თუ თქვენს „დეკრეტებს“ არ დავემორჩილოთ და ვაღიაროთ სრულიად სამართლიანად, რომ ბეგარის დაწესების საკითხი დიდი პრინციპიალური საკითხია და თან იურიდიულ-სახელმწიფოებრივი, როგორც ჩვენ ეს კიდეც გაცნობეთ. გარდა ამისა თუნდაც თქვენი მოწოდება კანონი ყოფილიყო ჩვენთვის სად არის იქ ნათქვამი რამდენ ბეგარას ინებებდით, ან როდის შეგვატყობინებდით რა ბეგარას გვახდევინებდით, ჩვენ მიერ საქმის დაწყებამდის, ან თქვენი წევრების მოწვევამდი, ან კიდევ მათი მოწვევის დროს, ერთი სიტყვით მანამდის, ვიდრე ქუთაისის კარგმა შემოსავალმა თუ სხვა რამემ არ მიიქცია თქვენი ყურადღება? ცხადია თქვენ ამის პასუხს ვერ მოგვცემთ, რადგანაც თქვენ 11 ნოემბრამდი თქვენი ბეგარა არ მოგვგონებიათ და 11 ნოემბერს უკვე წარმოდგენა გვქონდა ჩვენ, დასი დიდი ხნის შედგენილი იყო და საქმე გამართული და სწორედ ასეთ დროს აიძულებდით და აიძულეთ კიდევ თქვენი წევრები მიეტოვებინათ თავიანთი ამხანაგები (უმრავლესობა დასისა ჩვენთან დარჩა 19-დან 10), გვატეხეთ პირობა, რადგანაც როგორც ზევით აღვნიშნეთ, რაცა ჩვენ დასი შევადგინეთ, არავის, არც თქვენ, არც ჩვენს მიერ მოწვეულ თქვენს წევრებს არ გახსენებიათ პროცენტები და არ დაუდვიათ პირობით, რომ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში იმსახურებენ, თუ დრ. საზ-ბის გამგეობა თავისი საერთო შემოსავლის 5 პროცენტს მათ საპროფესიო კავშირს დაუთმობდა. შეაფერხეთ საქმე, რადგანაც საკითხის საბოლოო გამორკვევამდი, შუა სეზონში თავი დაანებებიათ ცხრა კაცსა.

შემდეგ თუ ოფიციალური პირის (თავმჯდომარის) განცხადება არა ოფიციალური იყო თქვენთვის და მაინც და მაინც გსურდათ ქაღალდის მიღება ბეჭდითა და გამგეობის ყველა წევრთა ხელისმოწერით ეს ჩვენ არ ვიცოდით. მომავალში კი ვეცდებით ყოველთვის ქაღალდით გიპასუხოთ და ზედ ბეჭედიც დავაკრათ, მხოლოდ თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერით. მაგრამ ერთი გარემოება გვაკვირვებს—თქვენ მაინც ყურად მიგიღიათ თავმჯდომარის განცხადება და პასუხი მოგიწერიათ 113 №-ით, იმავე დროს ჩვენი დასიდან მსახიობები გაგიწვევიათ, რადგანაც ჩვენ სადაო კითხვის გადაცემა ეროვნულ საბჭოსთვის დავადგინეთ. თქვენი აზრით პირობის დარღვევა, საქმის მიტოვება და მით მისი შეფერხება, ელემენტარულ საზოგადოებრივ ნორმების აუსრულებლობა (მაგ. სადაო კითხვის მესამე პირისთვის გადაცემა გასარკვევათ), „თქვენი უფლება, მოვალეობა და წესდების დაცვა ყოფილა“, მაშასადამე თქვენთვის განსაკუთრებული ლოღიკა და ეთიკა არსებულა; ჩვენ ამას ვერ გავიზიარებთ. განსაკუთრებით ვერ დავეთანხმებით მაშინ, როდესაც ასეთ ძმავე პირად უნდა ყოფილიყო ქართველი ერის უზენაესი ორგანო (ეროვნული საბჭო), თუმცა თქვენ ბრძანებთ თითქოს სიცრუე ყოფილიყოს თქვენ მიერ უარის თქმა ეროვნულ საბჭოს განაჩენის დაქვემდებარებისა. სიცრუეს თვით ფაქტები გამოაშკარავებენ. ხომ ხედავთ, რომ ჩვენი დასაბუთებული დადგენილება 13 დეკემბრისა პირდაპირ და აშკარათ მოგახსენებთ—ეს საკითხი ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტოს და თუ დაადასტურა თქვენი ბეგარა, მოგართმევთ, თუ არა, თქვენც ხომ მოითმენთო. გამგეობის ყველა წევრს ასე ესმოდა თავიანთი დადგენილების აზრი, ეხლაც ხელახლა გადაკითხვის დროსაც ასე გვესმის და თქვენს წერილშიაც ჩანს, რომ თქვენც ასე გაგიგიათ, მაგრამ თურმე საუბედუროდ დროზე არ მოგსვლიათ—თქვენი განცხადებებით, მაგრამ თქვენივე განცხადებით სწორედ ეს საბუთი, სადაც ეროვნულ საბჭოსთვის გადაცემას სადაო საკითხისას ჩვენ მოგვითხოვდით, თქვენ თვითონ მეტს მიგდიათ და თქვენი უკანასკნელი დეპეშა კი ცხადმყოფელია გამოგზავნილი, ე. ი. ჩვენი პასუხის მიღების მეორე დღეს (№ თქვენი დეპეშისა 19710).

როგორღაც ერთი მეორეს ეწინააღმდეგება ბ. შალვა ეს, ფაქტები. ალბათ შეცდომით მოგსვლიათ გულმავიწყობით, თორემ სიცრუეს როგორ გკადრებთ. ჩვენი წერილიც რომ არ მიგეღოთ თქვენი რწმუნებულის დეპეშა, 14-საც გამოგზავნილი ხომ მიიღეთ? ჩვენ ისიც გვითხრეს თქვენმა წევრებმა საგანგებო კაცი გაგვზავნეთო.

დასასრულ თქვენ გინებებიათ ჩვენი ფრჩხილებში ჩასმა „ცნობილი და დასახელებული ქუთ. დრ. საზოგადოება“. არ ვიცი რა დაგიშავეთ ან თქვენ პირადად, ან რომელიმე ქართველ მსახიობს, ან თქვენ კავშირს? განა ის რომ მუდამ პატივსა გცემდით და შეძლებისდაგვარად მუდამ თქვენი და თქვენი ამხანაგების დამხმარე ვყავვით, იქნება ქუთ. დრ. საზოგადოებას რომელიმე მსახიობის ვალი შერჩა? ან ზნეობრივი ან მატერიალური? თუ პირიქით, ქართველ მსახიობთა უმეტესობას დრამ. საზოგადოებანი საწყალ ფურად მიაჩნდათ და დღესაც მიაჩნიათ? თუ პირიქით შენს ქართველ მსახიობს დრ. საზოგადოების ვალი გაყოლია, როგორც მატერიალური, ისე მორალური, თუნდაც ამ ინციდენტთან დაკავშირებული? იქნება თქვენი კავშირის წინაშე დავამაშავეთ რამე იმით, რომ დღიდან თქვენი დაარსებისა პირველად ჩვენ მოგმართეთ, გიცადეთ მთელი ზაფხული, მივიღეთ თქვენი კარგი ჩვენი სახელმძღვანელოდ, მხოლოდ ერთი პრინციპიალური საკითხი ეროვნულ საბჭოს გადავეცით—ერისაც ამიტომ „ქართველი მსახიობი მიჩვეულია აბუჩად აგდებას“ თუნდაც ამ ინციდენტიდან დაასკვნან ვინ ვის იგდებს აბუჩად? დამთავრების ნება გვიბოძეთ უკანასკნელი ციტატა ამოვიწეროთ თქვენი წერილიდან: „პირველს წელიწადს ჩვენი არსებობისას სწორედ ჩვენი საპროფესიო უფლებათა დაცვის განმტკიცებას და საზოგადოთ ერთგვარ ზნეობრივ და **ნივთიერ პირად გამაგრებას ვემსახურებით**“-ო (ხაზები ჩვენია. გ.) ჩვენ ის გვიკვირს, რომ ჯერ-ჯერობით თქვენი მოღვაწეობა მხოლოდ ნივთიერ პირად გამაგრებას ემსახურება და ზნეობრივი გამაგრება კი გავიწყდებათ, თორემ ასეთ შეუწყნარებელ საქციელს, როგორიც თქვენ ჩაიდინეთ წელს ჩვენ ქუთაისის საზოგადოების და თვით საქმის წინაშე ადგილი არ ექნებოდა. ჩვენ კი გულწრფელად გვსურს ეს უკანასკნელი ყოფილიყოს და თქვენს წრეში დამკვიდრებულიყოს სწორი შეგნება საზოგადოებრივი მოვალეობის პირნათლად ასრულებისა, რაც უეჭველად მოითხოვს ნაკისრი ვალდებულების ბოლომდი ასრულებას და სამშობლო ქვეყნის უზენაესი ორგანოს პატივისცემას და მორჩილებას.

თქვენი და თქვენი კავშირის კეთილის მსურველნი თავმჯდომარე ქუთ. დრამ. საზოგადოების გამგეობისა: **აკაკი ფალავა.**

თავმჯდომარის ამხანაგი: **ივანე პურადაშვილი.**

წევრნი: ალ. წერეთელი, ლ. შურღაია, დათ. ჩხეიძე, ჯ. ჯორჯიკია, ელ. მეფისაშვილის ქალი, მ. ლორთქიფანიძისა და პ. უზნაძე.

მდივანი **გ. ფარქოსაძე.**

ქუთაისი. 24 იანვარი 1918 წ.

## კალენდარი

### კვირა, თებერვლის 25

კვირა 40 ხორცთ აკრებისა დამისა ხმა 7

**ქართვ.** წმ. მამისა ჩვენისა ტარასი კონსტანტინეპოლელ მთავარ ეპისკოპოზისა. **ხორციელის აღების დამე.**

**კათოლ.** წმ. ვიქტორისა და ფელიქსისი.

**სომეხ.** მე-8 კვირა შობის შემდეგ.

**მაჰმად.** ექიმიმ 26 რ. ჯემადულევველისა 1336 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** ივრიშონ 26 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყნ. შექმ.

### ორშაბათი, თებერვლის 26

**ქართვ.** ყველიერის ორშაბათი წმ. მამისა ჩვენისა პორფირი ღაზელ მთავარ ეპისკოპოზისა.

**კათოლ.** ალექსანდრე და ფორტუნატისა.

**სომეხ.** წმ. მარკი ეპისკოპ. პიონე და კრონიდესი.

**მაჰმად.** ლე 27 რ. ჯემადულევველისა 1336 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** იომშნი 27 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყნ. შექმ.

[illegible]

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

[illegible] ექიმი [illegible] კლინიკისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს დ. დღ. 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

კანტორა—წიგნის მაღაზია

**განათლება**

უგზავნის თავის აგენტებს შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: „საქართველოს“, „ერთობას“, „სახალხო საქმეს“, „ალიონს“, „თეატრ და ცხოვრებას“, „სოფლის მუშას“, „Борьба“-ს, „Республика“-ს „პრომეთეს“ და სხვებს. კანტორაში იყიდება აგრეთვე შემდეგი ახლად გამოსული წიგნები: ნოე რამიშვილის „ისტორიული მატერიალიზმი“, ლეო ქიაჩელის მოთხრობა „[illegible] გოლუა“, და რუსეთიდან მიღებული რუსული ბროშურები. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ, почт. ящикъ № 96. Сильвестру Р. Тавартkiladze. ტელეფონის № 44. 5—919—3